



საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების 30 წლისთავი

„და მიუკავშირო ფლითელებისას კლეინისას
ნეკრისა ასა იღებო წინაა და ჰუმილირო
რამილო აქცი კლეინი გაფინანსო, რომელიც და
გამოიყო, და ასევე დასცმა, გარდა გამოიყო
დამინ მნ, და ასევე გამოიყო დაგრძელო იყ.“
(კ.მიტ, 3.7)

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების 30 წლისთავი

წელს, მარტში, 30 წელი შესრულდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების მტკიცებულების სიგელის გადმოცემიდან.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეკლესიის ავტოკეფალია, ამის შესახებ, 2017 წლის 24 მარტს ქვეყნის პარლამენტში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავის საზეიმო სხდომაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აღნიშნა:


ეკლესიის ავტოკეფალია - ეს არის დიდი მონაპოვარი, დიდი ძალა, რომელიც ეძლევა აა თუ იმ ერს. V საუკუნეში, როდესაც წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობა მოუპოვა, ეს იყო დასაბამი ამ დიდი მადლიასა.

ავტოკეფალია არ არის მხოლოდ ეკლესიისთვის მინიჭებული სახელწოდება, ეს არის დიდი ძალა და დიდი მადლი. ვინ ვიქებოდით ჩვენ, ავტოკეფალია რომ არ გვქონოდა? სწორედ ამით შევინარჩუნეთ ჩვენი კულტურა, ჩვენი ენა, ჩვენი ეკლესია და ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის.

დღეს ჩვენ ქედს ვიხრით ჩვენი დიდი მამების და კათოლიკოს-პატრიარქების - კირიონის, ლეონიდეს, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, მელქისედეკის, ეფრემის, დავითის და სხვა წმინდა მამების წინაშე.

1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აღიარებას მსოფლიოს მართლმადიდებლურ სამყაროში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

ამაზე გაზეთ „კლიტე დავითისის“ მკითხველებს სრულ წარმოდგენას შეუქმნის სიონის საკათედრო ტაძარში 1990 წლის 13 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი იღია II-ის სიტყვა, რომლის პუბლიკაციასაც გაზეთის ამ ნომერში ვბეჭდავთ.



**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, იღვა
II-ის სიტყვა, წარმოთქმული სიონის საკათედრო
ტაძარში, 1990 წლის 13 მარტს**

სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა.

ჩვენთან არს ლმერთი!

წმინდა მეფე დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „წყალობაი შენი უფალო, თანამავალ მეყავ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა“. ყოველი ჩვენგანი გრძნობს და ხედავს, რომ წყალობა ღვთისა, ღვთის სიყვარული და ღვთის მფარველობა არის ჩვენთან. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს წარსულს, ვნახავთ, რომ წყალობა ღვთისა არ მოჰკლებია საქართველოს, როცა უამრავი მტერი გვეხვია თავს, როცა ერს უჭირდა და მუდამ იყო რაღაც სასწაულებრივი ნიშანი - ნიშანი ღვთის დიდი მფარველობისა.

საქართველოს ეკლესია იყო, არის და მუდამ იქნება სული ქართველი ერისა. საქართველოს ეკლესია არის ის წმინდა სავანე, სადაც აღიზარდა, აღორძინდა, სადაც ფერი იცვალა ქართველი ადამიანის სულმა. საქართველოს ეკლესია ის კარიბჭეა, საიდანაც ქართველმა ადამიანმა დაიწყო სულიერი აღმავლობა და ფერისცვალება. აი, ამიტომ იყო, რომ ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას. თქვენ იცით, რომ მეხუთე საუკუნეში ლოცვითა და ღვაწლით წმინდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა, საქართველოს ეკლესიის მეთაურად დადგენილ იქნა კათოლიკოსი პეტრე და იმ დროიდან იწყება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. დიდი პატრიარქი ანტიოქიისა თეოდორე ბალსამონი ამბობს, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო ანტიოქიის პატრიარქისაგან, ანტიოქიის კრების დადგენილებით. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რა გამოიარა ქართველმა ერმა, საქართველომ. ბევრი რამ მოისპო, მრავალი საბუთი დაიკარგა, მათ შორის საბუთი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და სადაო გახდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. სწორედ ამის გამო, 1911 წელს რუსეთის იმპერატორის არაკანონიერი

ბრძანებით საქართველოდან გაწვეულ იქნა კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ანტონ მეორე, ერეკლე მეორეს ძე და ძმა გიორგი მეფისა, უკანასკნელი მეფისა და აღარც ღირსებია ჩამოსვლა საქართველოში. და აი, იმ დროიდან, 1811 წლიდან იწყება განსაცდელი საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი ერისა. იმპერატორის ბრძანებით, საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა ეგზარქოსი. პირველი ეგზარქოსი მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავიც მალე რუსეთში გაიწვიეს და ამის შემდეგ ყოველი ეგზარქოსი, თანახმად რუსეთის იმპერატორის ბრძანებისა, რუსი უნდა ყოფილიყო. აიკრძალა სიონში ქართული წირვა-ლოცვა, თბილისის სასულიერო სემინარიაში ლექციები იკითხებოდა რუსულ ენაზე, წელიწადში მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ უფლება ქართველ სტუდენტებს წირვა ქართულად ჩაეტარებინათ. ასე გრძელდებოდა 1917 წლამდე. თქვენ იცით, რომ საქართველოს ეკლესიას 1816-1917 წლების განმავლობაში მართავდა 19 ეგზარქოსი და მათ შორის მხოლოდ პირველი იყო ქართველი. 1917 წელს, ისევ ღვთის დიდი წყალობითა და ღვთის ლოცვა-კურთხევით, მოწვეულ იქნა საკლესიო კრება, აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი). ამ წელს აღადგინა საქართველოს ეკლესიამ და ქართველმა ერმა დაკარგული ავტოკეფალია. მაგრამ მრავალმა ეკლესიამ არ სცნო საქართველოს ავტოკეფალია, მათ შორის - კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ. და, თქვენ იცით, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი არის ამავე დროს მსოფლიო პატრიარქი.

კონსტანტინოპოლის ეკლესია დაარსებულია მეოთხე საუკუნეში, როგორც თვითონ კონსტანტინოპოლი. თქვენ იცით, რომ მეოთხე საუკუნეში იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა რომიდან გადმოიტანა სოფელ ბიზანტიონში დედაქალაქი. შემდგომში ეს სოფელი აშენდა, გაიზარდა. ის დღევანდელი კონსტანტინოპოლია, იმპერიას კი ბიზანტიის იმპერია ეწოდა, და რადგან ეს იყო კეისრის ქალაქი, პატრიარქსაც ეწოდა მსოფლიო პატრიარქი ანუ ეკუმენიკური პატრიარქი. გადიოდა წლები... განვლო 1500-მა წელმა და მაინც სადაო იყო ჩვენი ავტოკეფალიის საკითხი. თქვენ იცით, რომ XI საუკუნის დასაწყისში უწმინდესი და უნეტარესი

მელქისედეკ I თავის სიგელზე წელს აწერს, უკვე, როგორც კათოლიკოს-პატრიარქი. კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული ემატება მას, როგორც საქართველოს ეკლესიის მეთაურს, მაგრამ, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, - ჩვენ ვერ ვნახეთ, არ არსებობდა საბუთი, რომელიც დაადასტურებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და საქართველოს ეკლესიის მამამთავრის წოდებას. წლების განმავლობაში იყო დავა და მიმდინარეობდა მოღაპარაკება საქართველოსა და კონსტანტინოპოლის შორის. ეს დავა დაიწყო 1963 წელს როდოსის კუნძულზე. მე მაშინ გახლდით ახლადნაკურთხი ეპისკოპოსი შემოქმედელი და მომიწია დაწყება ამ კამათისა როდოსზე, რაც შემდგომშიც გაგრძელდა. განსაკუთრებით გაცხოველდა ამის შესახებ ლაპარაკი და მსჯელობა 1977 წლიდან. თქვენ გახსოვთ, ჩემი ვიზიტი შესდგა 1979 წელს კონსტანტინოპოლში. იქ გაიმართა საუბარი, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. 1987 წელს საქართველოში ჩამობრძანდა ყოვლადუწმინდესი, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I. მაშინაც გვქონდა ამის შესახებ საუბარი. არაერთხელ წასულა ჩვენი დელეგაცია კონსტანტინოპოლში და კონსტანტინოპოლის დელეგაცია ჩამოსულა საქართველოში. ლვთის ლოცვა-კურთხევით და ლვთის მადლით მივაღწიეთ საბოლოოდ ამ შეთანხმებას და ამჯერად ხელთ გვაქვს ის საბუთები, რომელსაც ელოდა საქართველო 1500 წლის მანძილზე. მინდა წარმოგიდგინოთ ეს ორი სიგელი და გითხრათ, რომ ისინი იმდენად დიდი მნიშვნელობის საბუთებია, რომ ვერასდომს, ლვთის წყალობით და ლვთის ლოცვა-კურთხევით, ვერავინ ველარ შეახებს წელს საქართველოს ეკლესიას.

დოკუმენტები დაწერილია ბერძნულად. პირველზე გამოსახულნი არიან მაცხოვარი, მეფე კონსტანტინე და დედოფლია ელენე, რომელთა მეფობის დროს ქრისტიანობა გახდა სახელმწიფო რელიგია, როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში. ეს სიგელი ადასტურებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, რის შესახებაც გვქონდა დავა და განსაკუთრებით ვითხოვდით, რომ ეცნოთ ეს ძველი ავტოკეფალია, რადგან ჩვენ ახლა კი არ ვღებულობთ ავტოკეფალიას, არამედ იგი მივიღეთ V საუკუნეში ვახტანგ გორგასალის დროს და ეს უნდა

წარმოჩენილიყო. სწორედ ეს არის მასში აღნიშნული და აღიარებული. მას ხელს აწერს მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს | და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდი. მეორე სიგელი ადასტურებს საქართველოს ეკლესიის მამამთავრის - პატრიარქის წოდებას. მასზე გამოსახულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დედა, როგორც მფარველი საქართველოსი, წმინდა ნინო და წმინდა ილია წინასწარმეტყველი. აქაც ხელს აწერს ყოვლადუწმინდესი მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი და წმინდა სინოდის წევრები. მე მინდა გითხრათ, რომ ეს ისტორიული აქტი მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო ეკლესიისათვის, არამედ, განსაკუთრებით, მთელი ჩვენი ერისათვის. მინდა გითხრათ, ადრე რომ ყოფილიყო დაწერილი ეს საბუთები, ჩვენ აგვიდებოდა ის განსაცდელი, რომელიც გამოიარა ქართველმა ერმა და საქართველოს ეკლესიამ ეგზარქოსობის დროს. მადლობა ღმერთს, ჩვენ გავხდით ღირსი, ჩვენ გავხდით მოწმე იმისა, რომ ღვთის წყალობა, ღვთის ლოცვა-კურთხევა არ ტოვებს ქართველ ერს. ეს არის ნიშანი ჩვენი თავისუფლების მოახლოებისა...

ჩვენთან არს ღმერთი!

თ ვ ა ლ ს ა წ ი ე რ ი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და მრავალკონფესიური მსოფლიო

2019 წლის 23 დეკემბერს 42 წელი შესრულდა, რაც სიონის საკათედრო ტაძარში ჩატარდა მეთორმეტე საეკლესიო კრება. სწორედ 1977 წლის 23 დეკემბერს დილის ათ საათზე დაიწყო მუშაობა სიონის საკათედრო ტაძარში მეთორმეტე საეკლესიო კრებამ. რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი აირჩია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის სახელწოდებით.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უამრავ გამოწვევათა შორის მაშინაც იყო და დღესაც არის ურთიერთობა მრავალკონფესიურ მსოფლიოსთან. დავიწყოთ იმით, რომ 1917 წელს, როდესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა, კათოლიკოს - პატრიარქმა კირილ მეორემ საგანგებო ეპისტოლებით მიმართა როგორც აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქებს, ასევე რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურს და ყოველთა სომეხთა პატრიარქ კათოლიკოსს. ზოგიერთი ოპონენტი დღესაც ამბობს, რა საჭირო იყო, რომის პაპისადმი ან სომეხთა კათალიკოსისადმი მიმართვა. მათ საპასუხოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კირილ მეორე აგრძელებდა ჩვენი ეკლესიის საჭეთმცყრობელების იმ გზას, რაც საუკუნეების განმავლობაში საქართველოში იყო ჩამოყალიბებული. რასაკვირველია, პირველყოვლისა, იცავდა მართლმადიდებლობას, მაგრამ შემწყნარებელი იყო განსხვავებული კონცეფსიების მიმართ. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ საქართველოში ქართველი მართლმადიდებლების გვერდით ცხოვრობდნენ ქართველი კათოლიკები, ქართველი მონფიზიტებიც და ქართველი დიოფიზიტებიც და მათთან ურთიერთობა უნდა დალაგებულიყო, თუმცა 1921 წლიდან როდესაც ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ეკლესია მსოფლიო რუკიდან გაქრა, თუ არ ჩავთვლით კათალიკოს-პატრიარქ ამბოსი ხელაიას მემორანდუმს, საერთოდ მსოფლიოსათვის ბევრი რამ გაუგებარი ხდებოდა და ჩვენთან აღარავინ ურთიერთობდა. 1943 წელს, როდესაც პოლიტიკური მოსაზრებებით იოსებ სტალინს გაუჩნდა იდეა, რომ ახალი რომის ცენტრი მოსკოვი ყოფილიყო და არა კონსტანტინოპოლი, მაშინ საქართველოს ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია და, აქიდან მოყოლებული, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის პატრიარქობამდე, სულ ოთხი შემთხვევა იყო, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები ჩამობრძანდნენ საქართველოში: მოსკოვისა და სოულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი პირველი - 1945 წელს, 70-იან წლებში - პატრიარქი პიმენი, (სხვათაშორის, ის ბრძანდებოდა მისი უწმინდესობის აღსაყდრებაზე 1977 წელს) პატრიარქი ალექსი მეორე, რომელიც ბრძანდებოდა სასულიერო აკადემიაშიც და ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე, რომელიც 1975 წელს

ჩამოვიდა საქართველოში. სომხეთის კათალიკოსი ვაზგენი ჩამოდიოდა თავისი დიასპორისათვის და ოფიციალური დიპლომატიური და ეტიკეტის ნორმები ითხოვდა, შეხვედროდა ჩვენს პატრიარქს. მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს საქართველოში ვერ იხილავდით. - ჩვენი ეკლესია ფაქტიურად ჩაკეტილი იყო. სახელმწიფოს მესვეურებმა მოახერხეს, რომ ხელოვნური გაუცხოების კედელი აღმართულიყო საზოგადოებასა და ეკლესიას შორის, ასევე, გარე სამყაროსთან. მართალია, 1963 წელს ჩვენი ეკლესია მსოფლიო საბჭოში შევიდა და კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემს ერთხელ დართეს საზღვარგარეთ წასვლის წება, მაგრამ როდესაც მან ლევილში ქართველი ემიგრანტების საფლავზე პანაშვიდი გადაიხადა, ყველა კარი დაიხურა, მეორედ ის საზღვარგარეთ აღარ გაუშვეს. კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებამდე ირაკლი შიოლაშვილმა, მის მიერ საპატრიარქოში 1967 წელს შექმნილი საგარეო განყოფილების თავმჯდომარის რანგში, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე საერთაშორისო ფორუმში, სადაც სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შემდგომში, პატრიარქი როდესაც გახდა, მისი ძალისხმევით 1978 წლიდან 1987 წლამდე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური. ბოლოს, კონსტანტინოპოლის პატრიარქი დიმიტრიოსი 1987 წელს ჩამობრძანდა საქართველოში და სიონის საკათედრო ტაძარში მის უწმინდესობას და უნეტარესობას ასე მიმართა: იბერიის კათალიკოსო, უნეტარესო ჩემო ძმაო ილია!

ერთი სიტყვით, ურთიერთობის პროცესი დაიწყო და ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ფაქტიურად დამყარდა დინამიური კავშირი. ეს საბოლოოდ დაგვირგვინდა იმით, რომ 1990 წლის 4 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია აღიარეს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებმა. ეს იყო თითქმის ათწლიანი რუდუნებისა და შრომის ნაყოფი და ფინანსი. ჯერ კიდევ 1981-82 წლებში მისმა უწმინდესობამ ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში დაგზავნა წერილები რომელშიც საუბარი

იყო თუ რატომ ეკუთვნოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია.

რაც შეეხება განსხვავებულ კონფესიებთან დამოკიდებულებას, პატრიარქი 1979 წლიდან იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი და, აქედან გამომდინარე, მას უხდებოდა საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა, სადაც ის ხვდებოდა პროტესტანტების, კათოლიკების, ანგლიკანური ეკლესიის წარმომადგენლებს. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცალკე არც არსებობდა. საქართველოში თუ ვინმე ჩამოვიდოდა, ესეც მოსკოვის გავლით, იშვიათი შემთხვევა იყო. 1980 წელს მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ვატიკანში რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურ იოანე პავლე მეორესთან სტუმრობდა, პატრიარქი იხსენებს: როდესაც შევედი და მივესალმეო, მას რუკა ჰქონდა გაშლილი და მკითხა, აქ არისო თქვენი ქვეყანა, როგორ მოაღწიეთ აქამდე, ისე, რომ შეინარჩუნეთ თქვენი სარწმუნოება და თქვენი ენა, რა რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში იმყოფებითო. ჩვიდმეტი წლის შემდეგ რომის პაპი საქართველოში ჩამოვიდა და ამის შემდგომ, აგერ 2016 წელს, ჩვენთან პაპი ფრანცისკე ბრძანდებოდა. მრავლისმეტყველია მისი სიტყვები: მე სამივე ქვეყანაში ვიყავი - სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში და ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველომ, მისმა სულიერმა წინამძღვარმა, რამდენჯერაც შევხვდი მის უწმინდესობას და უნეტარესობას, იმდენჯერ ვრწმუნდებოდი, რომ ღვთის კაცი ვიპოვეო. ეს არის მიღიარდექვსას მიღიონიანი მრევლის სულიერი წინამძღვლის შეფასება მისი უწმინდესობის მიმართ.

საყოველოთაოდ ცნობილია, რომ უწმინდესი და უნეტარესი იღია მეორე ასევე ძალიან ფაქტად ეპყრობოდა და ეპყრობა მაჲმადიანებს. ამის გამოხატულება იყო თუნდაც ის, რომ პატრიარქმა 2001 წელს გაიზიარა ირანის ისლამური რესპუბლიკის მაშინდელი პრეზიდენტის ჰათამის პოლიტიკა. მუჰამედ ჰათამი რეფორმატორი მოღვაწე სჩანდა, ირანის პრეზიდენტი იყო, თუმცა მცირე ხნით და არ დასცალდა გაეზარდა ცივილიზაციათა დიალოგის მასშტაბი, მთელ მსოფლიოში. მას უნდოდა, დაემტკიცებინა დასავლეთისათვის, რომ ისლამი არ არის აგრესიული

რელიგია და ამ ცივილიზაციათა დიალოგის ფარგლებში მან 2001 წელს ჩვენი პატრიარქი მიიწვია ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. მაშინ შეხვდა პატრიარქი ასევე ალი ჰამეინს, ირანის უმაღლეს სულიერ ლიდერს. ამ შეხვედრისას მისმა უწმინდესობამ თვალნათლივ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია, რომ ჩვენ არ უნდა გამოვედევნოთ წარსულის პრობლემებს, ჩვენ მომავალზე უნდა ვიფიქროთ და ჩვენი ხალხების, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა უნდა გავხადოთ ძალიან დინამიური. ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ირანის ხელისუფლებამ დაუშვა ჩვენი ეკლესიის მეთაურის ვიზიტი ფერეიდანში და ამან საოცარი ეროვნული ენერგიის მოზღვავება გამოიწვია 400 წლის წინათ საქართველოდან იძულებით გადასახლებული ჩვენი თანამემამულების შთამომავლებში. აქვე არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ - ცოტა წნის წინათ ორი ფერეიდნელი ქართველი ფეხით რომ ჩამოვიდა ირანიდან, მისმა უწმინდესობამ მიიღო და ძალიან დიდი პატივისცემა გამოხატა მათ მიმართ. პატრიარქის ირანში ვიზიტის შემდეგ ფერეიდნელების უმრავლესობა, ვისაც ვაუები ჰყავს, უფროს შვილსაც და მომდევნოთაც იღიას არქმევენ, და ეს ორმა სტუმარმაც დაადასტურა. ფაქტია, რომ მაჰმადიანურ მსოფლიოში, განსაკუთრებით შიიტურ მსოფლიოში, მისი უწმინდესობა განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს. მრავლისმეტყველი ფაქტია როდესაც 2017 წელს ჩამობრძანდა კავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს საპატრიარქოში მან თქვა: მე ოჯახის წევრები ჩამოვიყვანე, რათა მივულოცო მის უწმინდესობას დაბადების დღე და მინდა, რომ ჩემი ოჯახის წევრები დალოცოს. მსოფლიო რელიგიის ისტორიაში იშვიათია ამის ანალოგი, როდესაც მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარე შეიხი სთხოვს ქრისტიან სულიერ ლიდერს, რომ დალოცოს მისი ოჯახი იმიტომ, რომ ის საყოველოთაოდ სულიერი მასწავლებელი და ბრძენი კაცია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე შეხვედრები ჰქონდა ეგვიპტის კოპთა ძალზე პოპულარულ ლიდერთან, მაღაბარიის მონოფიზიტ პატრიარქთან აბუნა თეკლე ჰაიმურთან, ეგვიპტის მონოფიზიტ პატრიარქთან სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ

მოღვაწეებთან, დასამახსოვრებელია ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ინდირა განდისთან შეხვედრა. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სტუმრად თუ საქმიანი ვიზიტით ჩამოსული მრავალი ქვეყნის უმაღლესი და საპასუხისმგებლო პირები საჭიროდ თვლიან, ესტუმრონ უწმინდესა და უნეტარესა.

პატრიარქი ხშირად იხსენებს, იერუსალიმში მისი პირველი ვიზიტის დროს აქედან წასული ქართველი ებრაელები და მათი შვილები რა საოცარი სიყვარულით, როგორი განსაკუთრებული პატივისვემით შეხვდნენ მის უწმინდესობას და უნეტარესობას თელავივის აეროპორტში. დაუკიტყარ მოვლენად რჩება ისრაელში მისი უწმინდესობის შეხვედრა ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესსთან. ამ ლეგენდარულ კაცთან, რომელიც 92 წლისა გარდაიცვალა. მაჰმადიანური ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრებს ჰქონდა უმთავრესი მიზანი, საქართველო მსოფლიოს გაეცნო და წარმოჩენილიყო, როგორც უნიკალური ისტორიის მქონე თანამედროვე ქვეყანა, რომლის რელიგიური ლიდერი თავისუფალია ფუნდამენტალიზმისა და ფანატიზმისაგან. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენ მეზობლებთან დამოკიდებულებაში, სომეხთა კათალიკოსმა ვაზგენმა, მისი უწმინდესობა არქიმანდრიტი როცა იყო, მაშინ ამოიცნო მისი მომავალი დიდი გზა... საპატრიარქოს არქივში ინახება ამის დამადასტურებელი მისი ბარათები, რომელშიც ულოცვას აღდგომას, შობას, ახალ წელს, და მასში ხედავს საქართველოს ეკლესიის მომავალს...

წინამდებარე წერილში მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია მოხმობილი საერთაშორისო მასშტაბით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობიდან, მაგრამ ის, რაც აღვნიშნეთ, მკაფიოდ ხდის საცნაურს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთის მკითხველთათვის იმ უდიდესი ძალისხმევის ჰორიზონტს.

ს ე რ გ ო ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე,

თეოლოგიისა და ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხ მ ა ე რ ი დ ა ნ

შვიდგზის ვილოცოთ ჩვენი პატრიარქისათვის

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი იღვია II-ის შესახებ საუბარი, თუ ასეთი დიდი პატივი გერგო, აუცილებელია დაიწყო იმ უდიდესი, ჭეშმარიტად ისტორიული ღვაწლის გახსენებით, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს, ქართველი ერის, საქართველოს ეკლესიის და, ზოგადად, ქართული სულიერების გამოღვიძებასა და განვითარებაში.

მხოლოდ უწმინდესისა და უნეტარესის დაუღალავი ღვაწლითა და ბრძოლით გახდა შესაძლებელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენა, ასევე, საქართველოს ეკლესიის მეთაურისათვის XI საუკუნიდან პატრიარქის წოდების დადასტურება. მიუხედავად ურთულესი დროისა, თავდაუზოგავი ბრძოლით, ამავე დროს, შორს გამიზნული, თანმიმდევრული ღვაწლით, ჭეშმარიტად ღვთიური მოთმინებითა და სიბრძნით შეძლო პატრიარქია ქართველი ერის შემოტრიალება სულიერებისაკენ, უღვთო ცხოვრებას შეჩვეული თაობების, უპირველესად, ახალგაზრდობის შემობრუნება ღვთიური გზისკენ. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ქრისტიანულ ეკლესიაში ისეთი ახალგაზრდა მრევლი არ არის, როგორც საქართველოს ეკლესიაში. ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ ახალგაზრდობით ისე გადაჭედილ ეკლესიებს, როგორც საქართველოშია. არა და, უწმინდესის პატრიარქად აღსაყდრებამდე საქართველოში სულ რამდენიმე ათეული ეკლესია მოქმედებდა და ისინიც ხალხისაგან, მით უმეტეს ახალგაზრდობისაგან თითქმის დაცარიელებული იყო. დღეს კი, მრევლის, ახალგაზრდობის ტევა აღარ არის 1500-ზე მეტ ეკლესიაში. უწმინდესის აღსაყდრების ჟამს, საქართველოს ეკლესიებში სულ რამდენიმე ათეული სასულიერო პირი მოღვაწეობდა, დღეს კი, 2000-მდე სასულიერო პირია. რამდენიმე მღვდელმთავრის ნაცვლად, დღეს საქართველოს ეკლესიაში 50-მდე მღვდელმთავარი მოღვაწეობს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პატრიარქის მცდელობით სამონასტრო ცხოვრების აღდგენასა და განვითარებას. დღეს უკვე 1000-ზე მეტი მონასტერია აღდგენილი თუ

შექმნილი. უწმინდესისა და უნეტარესის დაუღალავი ღვაწლის შედეგია, ჯერ კიდევ საბჭოთა დროს დაწყებული და შემდგომ უკვე ურთიულეს 90-იან წლებში აგებული გვირგვინი ჩვენი ეკლესიისა, წმინდა სამების დიდებული ტაძარი, შექმნილი და ამოქმედებული მსგავსად გელათისა, ალავერდისა და იყალთოსი.

ერის ასეთი მძლავრი გამოღვიძება, ღვთიური და ეროვნული ენერგიის ასეთი აღზევება, მრავალრიცხოვანი მონასტრისა და ეკლესიის ამოქმედება, უთუოდ მღვდელმსახურთა, სასულიერო მოღვაწეთა შესაბამის სიმრავლეს მოითხოვდა, მათ შესაბამის განათლებასა და მომზადებას გულისხმობდა. სწორედ ამიტომ, პატრიარქის ძალისხმევით 32 წლის წინათ, თბილისში პირველი სასულიერო აკადემია დაარსდა. როგორც სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ აღნიშნა, „მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სასულიერო აკადემიას, ეკლესიის წიაღში შექმნილი უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის დაარსებას. სასულიერო აკადემიის გარეშე შეუძლებელია ქართული საღვთისმეტყველო აზრისა და საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინება“. პატრიარქის მოდომებითა და ძალისხმევით კიდევ არაერთი სასულიერო სემინარია და აკადემია, სასულიერო განათლების კერა შეიქმნა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პატრიარქის ინიციატივითა და მონდომებით საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაარსებას.

სულიერი ღირებულებებისკენ შემოტრიალების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცა უწმინდესის მიერ შექმნილი საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, გაზეთი „კლიტე დავითისი“ და მრავალი სხვა ჟურნალი თუ გამოცემა.

საქართველოს პატრიარქი, ჭეშმარიტად ზეგარდმო მომადლებული სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს თანამედროვე მეცნიერების, თანამედროვე რელიგიისა და მეცნიერების, რელიგიისა და განათლების, რწმენისა და განათლების პრობლემათა სიღრმისეულ კვლევასა და შესწავლას. ამ უაღრესად აქტუალურ პრობლემატიკას მიეძღვნა მისი თაოსნობით ჩატარებული, არაერთი საერთაშორისო კონფერენცია და სიმპოზიუმი.

უაღრესად განსაკუთრებული და მრავალმხრივია პატრიარქის აზროვნებისა და შემოქმედების დიაპაზონი. ვგონებ, მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს ფაქტი, რომ რომელიმე ეკლესიის წინამძღვარს შეექმნას ისეთი უდიდესი მუსიკალური ნაწარმოები, როგორიც მის მიერ შექმნილი „ავე მარია“ . მე მქონდა უდიდესი ბედნიერება და პატივი, ვყოფილიყავი უშუალო მოწმე იმ პროცესისა, რომლის დროსაც იბადებოდა ეს უდიდესი ქმნილება. ეს თბილისის შემდეგ, გერმანიაში, მიუნხენში გაგრძელდა. პატრიარქს უნიჭიერესი მუსიკოსი და ლოტბარი, ბატონი სვიმონ ჯანგულაშვილი ეხმარებოდა. სწორედ იქ, მიუნხენში მოიწვია უწმინდესმა საქვეყნოდ ცნობილი იანო ალიბეგაშვილი და სთხოვა ამ ნაწარმოების შესრულება. ასე შეიქმნა ეს მართლაც დიდი შედევრი. ჩემი მოკრძალებული აზრით, სწორედ ასეთივე შედევრებია პატრიარქის მიერ შექმნილი საეკლესიო მუსიკის ბრწყინვალე ნიმუშები „კირიე ელეისონ“, „მოდი ჩემთან, უფალო“, „მამაო ჩვენო“ და საღმრთო ლიტურგიის არაერთი საგალობელი.

ილია II-ს ღვთის მიერ მომადლებული აქვს მხატვრობის განსაკუთრებული ნიჭიც. მის მიერ დახატულია არაერთი უაღრესად საინტერესო ფერწერული ნაწარმოები, ხოლო მის მიერ შექმნილი ხატები და ფრესკები საქართველოს მრავალ ტაძარს ამშვენებს.

უწმინდესი და უნეტარესი განვლილი ურთულესი 44 წლის მანძილზე ყოველთვის ხალხთან იყო. ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებში ხალხთან ოჩებოდა და მის ბედს იზიარებდა. მაშინაც კი, როდესაც მისი სიტყვა, ნათქვამი მათსავე გადასარჩენად, არ ესმოდათ და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ხვდებოდნენ და შეიგონებდნენ მას და იწყებდნენ პატრიარქისკენ სვლას და თავს პატრიარქის კალთას აფარებდნენ. სწორედ აქ პოულობდნენ ისინი სულიერ სიმშვიდესა და იმედს, დაცულობის გრძნობას. ასე იყო 9 აპრილს, ასე იყო უდიდესი ეროვნული ტრაგედიის, ძმათამკვლელი ომის დროს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს, 2008 წლის აგვისტოს უმძიმეს და ტრაგიკულ დღეებში. ხალხი, რომელი რელიგიის მიმდევარიც არ უნდა ყოფილიყო, მიღიოდა, მიიღოტვოდა მისკენ, რადგან მასთან ყოფნით, მასთან სიახლოვით, მისი დალოცვით ყოველთვის მოიპოვებდა რწმენას, იმედს, სითბოსა და სიყვარულს. სრული განცდა მაქვს იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეთა

უდიდეს ნაწილს პატრიარქი, თავის პატრიარქად, თავის ახლობელი ადამიანად მიაჩნია. მასთან სიახლოვეს და მისგან ყურადღებას თითოეული მათგანი გრძნობს, ჭეშმარიტად ღვთიურია ის ნიჭი და ძალა, რომლითაც პატრიარქი ამას ახერხებს. და მე ვფიქრობ, რომ საქართველოს პატრიარქების ისტორიაში, და არა მარტო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, იღია II ყველაზე უფრო სახალხო პატრიარქია.

საქართველოს სულიერი, რელიგიური და ისტორიული სიწმინდეების დაცვისათვის პატრიარქის გამორჩეული ღვაწლის შესახებ საუბრისას მინდა თავს უფლება მივცე და ნათქვამი ერთი ფაქტის გავიხსენო:

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, პატრიარქმა წამოსწია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საქართველოს ეკლესიისათვის დაბრუნების საკითხი. იმ პერიოდში ასეთი მცდელობა ერთობ რთული, წარმოუდგენელი გახლდათ. მიუხედავად ამისა, პატრიარქის ძალისხმევით და საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მხარდაჭერით, მაინც მოხერხდა პრობლემის მთელი სიმკვეთრით გააქტიურება. საბჭოთა კავშირს, იმ პერიოდში ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონდა.

მოხერხდა საბჭოთა გენერალური კონსულის, გიორგი მარტიროსოვის თბილისში ჩამოყვანა. მან ჩამოიტანა მონასტრის შესახებ ვიდეოფილმი, რომელიც ჩვენი თხოვნით თავადვე გადაიღო. პრობლემების განსახილველად და მოქმედების პროგრამის შესადგენად პატრიარქმა მოიწვია ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები, ბატონები - ირაკლი აბაშიძე და რეზო თაბუკაშვილი. შეხვედრასა და განხილვაში მეც ვმონაწილეობდი. აღნიშნულ შეხვედრასა და შემდგომ შეხვედრებზე, ვფიქრობ, მოქმედების უაღრესად კონკრეტული და რეალისტური გეგმა შემუშავდა. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირსა და საქართველოში შემდგომში განვითარებულ მა მოულოდნელმა პროცესებმა, ნაფიქრის განხორციელება შეუძლებელი გახდა. იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე ფიქრი პატრიარქს არც შემდგომ წლებში შეუწყვეტია. რუსეთში ჩემი ელჩიდ გამგზავრების წინ, კურთხევისათვის პატრიარქს ვეახელი. ჩვენი ერისათვის სხვა მნიშვნელოვან დავალებებთან ერთად, მან მომცა კურთხევა, ახალ ვითარებაში, ახალი შესაძლებლობებით კვლავ გამეგრძელებია მოქმედებები მონასტრის დასაბრუნებლად. 1996 წლის

აპრილში განხორციელდა რუსეთის პატრიარქის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. საქართველოს პატრიარქმა და რუსეთის პატრიარქმა ერთობლივი წირვა ჩაატარეს სვეტიცხოვლის ტაძარში. იმავე წლის სექტემბერში კი, რუსეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია იღია II. პატრიარქებმა ერთობლივი წირვები აღავლინეს, ახლა უკვე მოსკოვისა და სერგიევ პოსადის ტაძრებში. სწორედ ამ ვიზიტის დროს დამიკავშირდა მაშინ მოსკოვში მოღვაწე უკვე ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბადრი პატარკაციშვილი და მთხოვა პატრიარქი და მისი თანმხლები პირები ვწვეოდით რეზიდენციაში, რომელიც სავა მოროზოვის ცნობილ დიდებულ სასახლეში მდებარეობდა. შეხვედრისას უწმინდესმა ბატონ პატარკაციშვილს დაავალა მონაწილეობა მიეღო ჯვრის მონასტრის საქართველოსთვის დაბრუნების წმინდა საქმეში.

ბადრიმ დიდი სიხარულითა და მადლიერებით მიღო პატრიარქის დავალება. შემდგომში, მათი დაახლოებისა და ურთიერთობის შედეგად, მართლაც მრავალი დიდი ეროვნული და საკლესიო საქმე გაკეთდა. 2000 წელს, პროფესორმა თამილა მგალობლიშვილმა გერმანიაში მიაკვლია იერუსალიმის ჯვრის მონასტრისეულ წმინდა ელია წინასწარმეტყველის ფრესკას, რომელიც სავარაუდოდ მე-20 საუკუნის 70-იან-80-იან წლებში კედლებიდან ბათქაშიანად იქნა მოჭრილი და გატანილი. 2001 წლის იანვარში პატრიარქის კურთხევით ფრესკების დასაბრუნებლად გერმანიაში გავემგზავრეთ. გადავწყვიტეთ მონასტერზე ფილმიც შეგვექმნა და ის სწორედ ამ ფრესკების ისტორიით დაგვეწყო. ჩემთან ერთად კინორეჟისორი, ბატონი ოთარ შამათავა და მისი გადამღები ჯგუფიც გამოემგზავრა. მოლაპარაკების შედეგად ჩვენ შევძელით ფრესკის დაბრუნება და საქართველოში გამოგზავნა. ეს ტექნიკურადაც ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა, რადგან ფრესკა ძალზე დიდი ზომისაა და ის ყოველგვარი დაზიანების გარეშე უნდა ჩამობრძანებულიყო. ყველა ხარჯი, რა თქმა უნდა, ბადრი პატარკაციშვილმა გაიღო. ყველაზე ძვირად კი, რა თქმა უნდა, ფრესკის გამოხსნა მოხერხდა. პატრიარქის კურთხევით, იმავე წლის ოქტომბერში კვლავ გავემგზავრეთ გერმანიაში და ამჯერად, უკვე მეორე დიდი ფრესკის, რომელზეც წმინდა ელია წინასწარმეტყველი და ელისე წინასწარმეტყველია გამოსახული, საქართველოში ჩამობრძანება შევძელით. მასთან ერთად გამოვიხსენით და ჩამოვაბრძანეთ

ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობლის მე-12 საუკუნის დიდი ზომის უნიკალური ხატი. სიწმინდეები ორივეჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივასვენეთ, რადგან იერუსალიმის მონასტერი არა მხოლოდ საეკლესიო მოღვაწეობის, არამედ უდიდესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი იყო.

2001 წლის თებერვალში პატრიარქის კურთხევით შევქმენით სამეცნიერო ექსპედიცია ინდოეთში, გოაში, ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების მოსაძიებლად. ეს იდეა ეკუთვნოდა ჯერ კიდევ რეზო თაბუკაშვილს. სწორედ მან დაიწყო 1980-იან წლებში ექსპედიციის მომზადება და სათანადო ნებართვებიც მიიღო ინდოეთის მთავრობისაგან. მან პირველმა მოინახულა გრასას ტაძარი, რომელშიც წმინდა ნაწილები უნდა ყოფილიყო დაბრძანებული. პატრიარქის კურთხევით, სწორედ ბატონი რეზოს ანდერძის შესასრულებლად ჩამოვაყალიბეთ მე და ლაშა თაბუკაშვილმა ექსპედიცია და გოას გავემგზავრეთ. ექსპედიცია, ამ შემთხვევაშიც ბადრი პატარკაციშვილმა დააფინანსა. მიუხედავად ჩატარებული დიდი საკვლევი და საძიებო სამუშაოებისა, წმინდა ნაწილების მიგნება შეუძლებელი აღმოჩნდა. ექსპედიციამ დაადგინა მხოლოდ ის ადგილი, სადაც ისინი თითქმის 400 წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყვნენ დასვენებული. ამასთან, ბევრი სხვა, მანამდე უცნობი ისტორიული დეტალის დადგენაც შევძელით. პატრიარქმა, რომელიც თითქმის ყოველდღე ტელეფონით გვაძლევდა რჩევებს, მიიჩნია, რომ ის მიწა, სადაც წმინდა ნაწილები იყო დასვენებული, ისეთივე სიწმინდეა, როგორც თვითონ ის ნაწილები. იგივე რჩევა მოგვცა მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა ჩვენს ექსპედიციას. წმიდა მიწა მართლაც ჩამოვასვენეთ და სიონის საკათედრო ტაძარში მივაბრძანეთ. უწმინდესმა, სიონში საგანგებო პარაკლისიც გადაიხადა.

საქართველოს პატრიარქის უდიდესი ღვაწლის აღწერა და შეფასება, რა თქმა უნდა, სრულად შეუძლებელია. ამას მხოლოდ ქართველთა მომდევნო მრავალი თაობა თუ შეძლებს და ისიც, მხოლოდ ნაწილობრივ. მიუხედავად ამისა, პატრიარქს ბევრჯერ უბრძანებია, რომ თუ თავის ნამოღვაწარში რამეს უპირატესს გამოარჩევდა, ეს უპირველესად საქართველოში შვიდგზის ლოცვის დანერგვაა. მან თავადვე შექმნა ეს

ლოცვანი, შესაბამისი ტროპარები და დღეს საქართველოს ეკლესიის
მრავალრიცხოვანი მრევლი ასრულებს შვიდგზის ლოცვას. პატრიარქი
გვეუბნება, უფალმა ბრძანა, ორი-სამი ადამიანი თუ შეიკრიბება ჩემი
სახელით, მეც მათთან ვიქნებიო, ამიტომ მთელი მრევლის ერთდროულ
ლოცვას ხომ განუზომლად დიდი ძალა ექნებაო. დღეში შვიდჯერ, დღე
და ღამ, ლოცულობს პატრიარქი საქართველოსთვის, თითოეული
ჩვენგანისთვის. ამიტომ, ვფიქრობ, ჩვენც ვიღოცოთ ჩვენი
პატრიარქისთვის, მისი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისთვის.
შვიდგზის ლოცვა მთავრდება სიტყვებით: „უფალო დიდება შენდა,
ღმერთო გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო“. მოდით, ამ სიტყვებს
დავამატოთ - ღმერთო ჯანმრთელად გვიმყოფე და გვიდღეგრძელე ჩვენი
პატრიარქი ილია II.

ვაჟა ლორთქი ქიფანიძე,
აკადემიკოსი



სურათზე: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და
უნეტარესი ილია II, ირაკლი აბაშიძე, საბჭოთა კავშირის კონსულ
ისრაელში გიორგი მარტიროსოვი, ვაჟა ლორთქიფანიძე, რეზო
თაბუკაშვილი.

1988 წლის სექტემბერი

„ დიდნი საქმენი ”

განუზომელია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ამაგი და ღვაწლი ქართული ეკლესიის აღორძინება-აღმშენებლობაში, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების და, საერთოდ, ქართული კულტურის განვითარებაში.

იმ დიდ საქმეთაგან, რომლებსაც მისი თაოსნობითა და მეოხებით დაედგა გვირგვინი, ჩემი პროფესიული თვალთახედვიდან, უდავოდ, საგულისხმოდ მიმართა საქართველოში სიკვდილით დასჯის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მე-20 საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის დამდეგს საქართველოში ამ უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების უშუალო მონაწილე ვიყავი.

ზემოაღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა დამოუკიდებელი საქართველოს რიგით მეორე კონსტიტუციის პროექტის მომზადების დროს (1993-1995 წწ.). ქვეყნის ძირითადი კანონი გვერდს ვერ აუვლიდა მათ. კონსტიტუციაში პასუხი უნდა გასცემოდა კითხვებს: საჭირო იყო თუ არა სიკვდილით დასჯის შენარჩუნება და როგორი უნდა იყოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა.

თუ ისტორიას გადავხედავთ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქართული სამართალი უფრო ჰუმანური და მოკრძალებულია სიკვდილით დასჯის გამოყენების თვალსაზრისით. საქართველო ასევე არ გამოირჩეოდა სიკვდილით დასჯის სახელბების მრავალფეროვნებით. არც სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახელბებისადმი მიდრეკილება გამოუჩენია ჩვენს კანონმდებელს. უფრო მეტიც, ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ თამარ მეფეს საქართველოში არა მარტო სიკვდილით დასჯა გაუუქმებია, არამედ სხეულებრივი სასჯელების გამოყენებაც აუკრძალავს. მსგავსი სასჯელები ლაშა-გიორგის დროსაც არ არსებობდა. რუსთაველის ეპოქის საქართველოს მართლშეგნების ჰუმანურობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იმდროინდელ ისტორიკოსებს მეფისათვის სასახელოდ მიაჩნდათ სიკვდილით დასჯის აკრძალვა. ქართული სამართლის ჰუმანური

ტრადიციების გაგრძელების მაჩვენებელია საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციით (1921 წ.) სიკვდილით დასჯის გაუქმება. უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ მსოფლიოში ქვეყნის ძირითადი კანონით სიკვდილით დასჯის აკრძალვა იშვიათი მოვლენა იყო.

საბჭოთა რესუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის (1921 წ.) შემდეგ ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა და ამასთან ერთად სიკვდილით დასჯის საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებაც. საბჭოთა საქართველოში სიკვდილით დასჯის გამოყენება კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ისეთივე იყო, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში. კომუნისტური დიქტატურის პირობებში სიკვდილით დასჯის გამოყენებას ფართო გასაკანი მიეცა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ე.ი. 1991 წლამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო 33 სახეობის დანაშაულისათვის. აქედან 17 შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდა სამხედრო დანაშაულის ჩადენა. ამ მძიმე მემკვიდრეობის დასაძლევად, 1990 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოსული ეროვნული ხელისუფლება სიკვდილით დასჯის თანდათანობით გაუქმებას შეუდგა, თუმცა ამის სრულად გაკეთება მას არ დასცალდა. საქართველოს ახალი კონსტიტუციის (1995 წ.) პროექტზე მუშაობისას, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, კვლავ მწვავედ დადგა სიკვდილით დასჯის მიზანშეწონილობის საკითხი, თუმცა ამ საკითხზე გამართულ დისკუსიებში ვერ გაიმარჯვეს ვერც სიკვდილით დასჯის მომხრეებმა და ვერც მისმა მოწინააღმდეგებმა. საბოლოოდ, კონსტიტუციაში ჩამოყალიბდა ნორმა, რომელიც სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების გამოყენების საშუალებას იძლეოდა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას უჭირდა საბჭოური მემკვიდრეობისაგან ერთბაშად განთავისუფლება. სისხლის სამართლის კოდექსში სიკვდილით დასჯა კვლავ იქნა შენარჩუნებული. კონსტიტუციის მიღების შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრი დამძიმდა, რადგანაც დღის წესრიგში დადგა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღება და საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანება, რომლის ერთ-ერთ წინაპირობას სიკვდილით დასჯის გაუქმება წარმოადგენდა.

სწორედ ამ დროს და ასეთ ვითარებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების ინიციატივით გამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მან 1996 წლის აპრილში წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს, რომელშიც აღნიშნული იყო: „დვთის ერთ-ერთი მცნებაა: „არა კაც ჰყლა““. ეს სიტყვები მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანებისადმი, ისე ერებისა და სახელმწიფოებისადმი. შეუძლებელია ბოროტების აღმოფხვრა ბოროტებით. სიკვდილით დასჯა ნებისმიერ შემთხვევაში არის ბოროტება, რადგანაც სიცოცხლის წართმევის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც იგი მიანიჭა ადამიანს - ანუ ღმერთს“. წერილმა დიდი გავლენა იქონია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებზე. ამის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა პარლამენტს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა 148 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“. ქართული სახელმწიფო დაუბრუნდა თავის მრავალსაუკუნოვან ჰუმანურ ტრადიციებს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პროექტის შემუშავების დროს უმთავრესი საკითხი, რომელიც კონსტიტუციური პროცესის ყველა ეტაპზე ცხარე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა, სახელმწიფო მმართველობის საკითხი იყო, რადგანაც იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ პერიოდში ხელისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლასთან. ამიტომ მან თავისი აქტუალურობით დაჩრდილა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სახელმწიფო-სამართლებრივი, მათ შორის, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაციის პრობლემები. საკონსტიტუციო კომისიაში დისკუსია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის პრობლემაზე საერთოდ არ გამართულა, ხოლო ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის თითქმის ყველა ვარიანტში უცვლელად იყო მოყვანილი ამ საკითხის გადაწყვეტის ტრაფარეტული დებულებები: სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და უზრუნველყოფილია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. კონსტიტუციის პროექტის შემუშავების დასკვნით ეტაპზე სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით სახელმწიფოსა და ეკლესიის ზემოაღნიშნულ დებულებებს დაემატა, ერთი შეხედვით, თითქოს დეკლარაციული, მაგრამ თავისი შირაარსით მეტად მნიშვნელოვანი დებულება: „სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში“. რადგანაც ეს ჩანაწერი ქართული ეკლესიის როლს რეტროსპექტივაში განიხილავდა, პოლიტიკურად უაღრესად მრავალსპექტრიან პარლამენტში მასზე ყურადღება არ გამახვილებულა საქართველოს კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის მიღებისას.

ახლად მიღებული კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ, ფართოდ გაიშალა სამართალშემოქმედებითი საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დღის წესრიგში დადგა რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღების საკითხიც. მაგრამ იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ერთ საკანონმდებლო სიბრტყეზე ყველა რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება არ იქნებოდა მართებული. საქმე ისაა, რომ საქართველოს კონსტიტუცია, გარდა იმისა, რომ აცხადებდა რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამავე დორს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღიარებდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში. ქრისტიანული მართლმადიდებლობა საქართველოში ხომ 15 საუკუნის მანძილზე სახელმწიფო რელიგია იყო. ამ ისტორიულ როლს ემატებოდა ისიც, რომ აღორძინებული მართლმადიდებელი ეკლესია სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში არა მარტო წარსულაში, არამედ თანამედროვე პერიოდშიც. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მორწმუნე მართლმადიდებელი მრევლის რაოდენობა ამჟამად საქართველოში მოსახლეობის 83 პროცენტზე მეტია. ამიტომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა მოითხოვდა მისი სამართლებრივი რეგლამენტაციის არაორდინარულ გადაწყვეტას.

ამოცანა მეტად რთული იყო, მაგრამ მოიძებნა ისტორიული და იურიდიული თვალსაზრისით მისი გადაწვეტის მართებული ფორმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინადადებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის და მისი სამართლებრივი მდგომარეობის საკითხების განსაზღვრისათვის სახელმწიფოსა და ეკლესიას, როგორც ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის კონსტიტუციური შეთანხმება უნდა დადებულიყო. „სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა, - ბრძანებდა პატრიარქი, - განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, რაც განპირობებულია ქვეყნის შიდაპოლიტიკური მოწყობით და ასევე საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ყველაზე მისაღებ ფორმად მიჩნეულ იქნა კონსტიტუციური შეთანხმება“.

2001 წელს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლების განსაზღვრის შემდეგ, 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დაიდო კონსტიტუციური შეთანხმება.

კონსტიტუციურ შეთანხმებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, განსაზღვრულია ეკლესიის უფლებამოსილებები კულტურულ-საგანმანათლებლო, თავდაცვის, იუსტიციის, სოციალური დაცვის სფეროებში, ეკლესიის საკუთრებად გამოცხადებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები, მიწის ნაკვეთები, სახელმწიფო დაცვაში არსებული საეკლესიო საგანძურო.

კონსტიტუციური შეთანხმება მტკიცე სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ეკლესიისათვის. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთშეთანხმებით. ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოების მიერ კონსტიტუციური შეთანხმების საწინააღმდეგოდ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს ან მათ მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს იურიდიული ძალა არ ექნებათ.

ასეთია, ჩემი აზრით, თანამედროვე საქართველოს ის ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი და, ამასთანავე, სამართლებრივი

პრობლემა, რომელთა საბოლოო გადაწყვეტაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს და რომლებსაც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს თუ დავესესხებით, თამამად შეიძლება ვუწოდოთ „დიდნი საქმენი“.

ჯონი ხელიანი,
აკადემიკოსი



სურათზე: უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და
აკადემიკოსი ჯონი ხელიანი

ღირსახსოვარი შეხვედრები

უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის საპატრიარქო ტახტზე აბოძანებისთვის ფიქრი და სჯა 1977 წლამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. გამორჩეული მღვდელმთავრისთვის გზა განემზადებოდა თითქოს: ამ საკითხზე საუბარი ხშირად იმართებოდა ჩვენს ოჯახშიც. ასე რომ, 1977 წლის 25 დეკემბრამდეც გარკვეული წარმოდგენა თუ ცოდნა მისი პიროვნების შესახებ მქონდა. მოგვიანებით კი, ბედნიერება მერგო გავცნობოდი ახლოს, პირადად. ბენილუქის ქვეყნებში ელჩიდ მუშაობის დროს პატივი მერგო ვყოფილიყავი პატრიარქთან ერთად 1999 წელს, როდესაც იგი ჩამობრძანდა ნიდერლანდებში, ტექსელზე ქართველთა საქმო სასაფლაოს მოსანახულებლად და პანაშვიდის აღსავლენად.

ტექსელზე დღემდე პატივისცემით ინახავენ ქართველ მებრძოლთა ხსოვნას, უვლიან მათ განსასვენებელს. იმ ხანად, გასული საუკუნის მიწურულისთვის, ბევრი იყო მომსწრე და მხილველი კუნძულზე დატრიალებული ტრაგედიისა, რამაც ბევრი ქართველი იმსხვერპლა. ამიტომაც ბევრი ტექსელელი, კუნძულის ხელისუფლებასთან ერთად დაესწრო უწმინდესის მიერ აღვლენილ პანაშვიდს.

პატრიარქი ჰოლანდიაში რამდენიმე დღე ბრძანდებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჰკითხეს უწმინდეს, რაიმეს ნახვა, მონახულება, დათვალიერება ხომ არ ეწადა კიდევ. და აი, თურმე ჩვენს პატრიარქს აინტერესებდა მსოფლიოში ცნობილი მეცხოველე ფერმების საქმიანობა, სურდა მათი მუშაობის გაცნობა. აღმოჩნდა, რომ უწმიდესი გახლდათ ჰირველი ქართველი, ვინც ფერმებითა და სოფლის მეურნეობით დაინტერესდა.

განსაკუთრებით გამოვყოფ პერიოდს, როდესაც უკიდურესად დაიძაბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა - აფხაზეთისა და ცხივნალის რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით. დაძაბულობამ პიკს მიაღწია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. და აი, ასეთ გამოუვალ სიტუაციაშიც კი, უწმინდესმა შეძლო შეხვედროდა და მოლაპარაკება ეწარმოებინა არამარტო რუსეთის ეკლესიის უმაღლეს იერარქებთან და პატრიარქთან, არამედ თვით ქვეყნის პრეზიდენტთან. ბრძენი სოლომონი

ამბობს: „თუ უფალი წყალობს ადამიანის გზებს, მაშინ მის მტრებსაც შეარიგებს მასთან“. რუსეთის პრეზიდენტთან ჩვენი პატრიარქის შეხვედრა, რა თქმა უნდა, სრულად არ გაშუქებულა, მაგრამ, თამამად, შეიძლება ითქვას, რომ უწმინდესმა იღიამ, თავისი ავტორიტეტის წყალობით, ბევრი რამის გაკეთება შეძლო (თუნდაც დაჭრილ და გარდაცვლილ ქართველთა გამოყვანა ბრძოლის არეალიდან!). შეიძლებოდა ბევრი რამ კიდევ სხვანაირად წარმართულიყო... ჩვენი პატრიარქის დამსახურებაა, რომ ოფიციალურად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი, საეკლესიო სივრცე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში რჩება.

როდესაც რუსეთში საქართველოს ელჩიად ვმუშაობდი, ვხედავდი, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მოსკოვში ჩამობრძანება ყოველთვის განსაკუთრებულ ელფერს იძენდა: საეკლესიო სივრცეში ის ძალიან ბევრს მართლა გულწრფელად უყვარს, ბევრიც პატივს მიაგებს მას პიროვნული ლირსებების გამო, მაგრამ, გამორჩეული თბილი ურთიერთობა ჰქონდათ ჩვენს პატრიარქსა და განსვენებულ ალექსი II-ს. ჩვენი პატრიარქის ერთ-ერთი ვიზიტისას, უმწინდესის ლოცვა-კურთხევით მოსკოვში საქართველოს საელჩოს სახელით გავმართეთ მიღება, რომელზედაც თავი მოიყარეს მოსკოვში ქართული და რუსული საზოგადოების ცნობილმა წარმომადგენლებმა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ იღია II-ისა და რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ის მადლით, განუმეორებელი, ძალიან თბილი საღამო შედგა.

მოსკოვში პატრიარქის ვიზიტებისას განსაკუთრებით ხარობდა იქაური ქართველობა, ძალიან ბევრი იყო ევროპის ქვეყნებიდან უწმიდესის სანახავად მოსკოვს სპეციალურად ჩამოსული ქართველიც...

ერთ-ერთი ვიზიტისას ვახლდი უწმინდესს ზაგორსკში, სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, სადაც მოღვაწეობდნენ მისი თანაკურსელები, გაიხსენეს ყველა და ყველაფერი, ხარობდნენ ადამიანური სიწრფელითა და სიხარულით - მათთან თვით კათოლიკოს-პატრიარქი ბრძანდებოდა და იგი მათი თანაკურსელი, მერხის მეგობარი იყო: „ადამიანის გული ირჩევს თავისგზას, ხოლო უფალი წარმართავს მის ნაბიჯს“. უფლის მიერ წარმართული ნაბიჯებით მას, თამამად შეუძლია, ბრძანოს: „სიბრძნის

გზა გასწავლე, სიმართლის გზებით გატარე. როცა ივლი, არ შემოკლდება
შენი ნაბიჯი და როცა ირბენ, არ წაიბორძიკებ“.

ზ უ რ ა ბ ა ბ ა შ ი ძ ე,
ქართული ენციკლოპედიის
მთავარი რედაქტორი



სურათზე: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და
უნეტარესი ილია II-ის შეხვედრა რუსეთის პატრიარქ ალექსი II-სთან.

მოსკოვი, 2000 წელი

მადლობა პატრიარქს და მის თანამოსაგრეთ

ჩვენს ოჯახში ყოველი დიღა ტრადიციულად ლოცვით იწყება.

პაციენტების მკურნალობის წინ ვლოცულობ... ამიტომაც როცა თბილისის აღმასკომის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ანდრიაძემ წინა საუკუნის 90-იან წლებში საცხოვრებლად სამი ადგილი შემომთავაზა. ჩემმა მეუღლემ ძველი თბილისი აირჩია, სიონის ტაძრის ახლოს.

ასე გავხდით ასკურავები სიონის ტაძრის მრევლის წევრები.

2008 წელს ერთ ქადაგებაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა იღია II-მ თქვა: „მე მინდა იცოდეთ, რომ პატრიარქი ყველგანაა, სადაც ქართველი ხალხია! ჩემი გული, ჩემი გონება, მთელი ჩემი სულიერი სამყარო ეკუთვნის ქართველ ხალხს. ამიტომ, შეიძლება, მე ფიზიკურად არ ვიყო ამა თუ იმ ადგილზე, მაგრამ იცოდეთ, რომ ჩემი გონება და გული იქ არის.“

ეს ჭეშმარიტება, პატრიარქის ბაგეთაგან მის გაცხადებამდე 20 წლით ადრე, პირადად, ჩემი ერთი რიგითი მოქალაქის მაგალითით დადასტურდა.

1987 წელს ხელისუფლებამ საქმიანობა ამიკრძალა, თავისუფლების აღკვეთითაც კი დამემუქრნენ.

მაშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი იღია II-ის თანადგომამ განსაზღვრა ჩემი მომავალი.

უწმინდესმა შემომთავაზ საპატრიარქოს ტერიტორიაზე გამოყოფდა ადგილს, სადაც შემეძლებოდა დაავადებულთათვის მემკურნალა.

მაშინ შემომთავაზა, როცა არ მიცნობდა, მაგრამ სჯეროდა, რომ მართალი ვიყავი. გასაგები მიზეზის გამო მორიდებით უარი ვუთხარი ამ ნაბიჯზე, თუმცა ამ შემოთავაზებამ გონს მოიყვანა ჩემი მოწინააღმდეგები და უკან დაახევინა.

დღემდე ჩემგან განკურნებულთა როადენობა 15000-ს აღწევს. მათ შორის სასულიერო პირებიც არიან. მათი მადლიერების ბარათები მამხნევებს და ძალას მმატებს.

ჩემი სახლი, მყუდრო პატარა შუკით, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შენობას ასიოდე მეტრითაა დაშორებული. პატრიარქის რექტორობის წლებში ამ სასწავლებლის ხშირი სტუმარი ვიყავი, ეს ტრადიცია ამჟამადაც გრძელდება.

ამის დასტურია თუნდაც ის ორი ბარათი, რომლითაც შარშა, ჩემი დაბადების 80 წლისთავზე სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე და პროტოპრესვიტორი, დეკანოზ ბესარიონ ცინცაძე შემეხმიანენ.

ჩემთვის გამამხნევებელია პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის გზავნილი:

„კურნება საღვთო საქმეა, მადლიერებას და პატივისცემას იმსახურებს ის ადამიანი, ვინც თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად აღასრულებს. მჯერა, ხანდაზმულობის მიუხედავად, ბატონი ბიჭიკო ღვთის შემწეობით გააგრძელებს კეთილშობილ საქმიანობას, რადგან კარგად იცის, რაც ადამიანს მადლის მოუპოვებს და ღვთის წინაშე აღამაღლებს, არის რწმენითა და მოღვაწეობით ღვთივბოძებული ტალანტის გამრავლება.“

მადლობა პატრიარქს და მის თანამოსაგრეთ ჩემი სამკურნალო საქმიანობის დაფასებისა და მხარდაჭერისათვის.

ბ ი ჭ ი ვ ო (ვლადიმერ) ა ს ვ უ რ ა ვ ა,
სახალხო მკურნალი, აკადემიკოსი



სურათზე: ბიჭიკო ასკურავა შვილიშვილით სტუმრად საპატრიარქოში

იმ მძიმე წლებში...

მახსენდება აფხაზეთის ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც ჩვენ გვერდით უამრავი უსახსრო და უპოვარი ადამიანი გაჩნდა. აფხაზეთიდან დევნილი ადამიანების დიდი ნაწილი მოაწყდა საქართველოს საპატრიარქოს. ზოგი თავშესაფარს ითხოვდა, ზოგი - ტანსაცმელს, ზოგიერთი - საკვებს, ასევე მრავლად მოდიოდნენ აფხაზეთში ტყვედჩავარდნილი ახალგაზრდების დედები, დღესაც მზარავს იმ დღეების გახსენება. ყველა პატრიარქისგან ითხოვდა შველას, ყველას მხოლოდ პატრიარქის იმედი ჰქონდა!

იმ დროისთვის საპატრიარქოში ყოველ დღე პარაკლისებს იხდიდა. ერთ-ერთ პარაკლისზე ბრძანა, ხალხს აუცილებლად უნდა დავეხმაროთ, უნდა გაიხსნას საპატრიარქოსთან არსებული „მოწყალების სახლი“, მშიერი ხალხის დასაპურებლად. ხელმძღვანელობა მე დამავალა. სიმართლე რომ გითხრათ, თავდაპირველად, ძალიან შევშინდი, იმიტომ, რომ ჩემი პირადი ტრაგედიიდან გამომდინარე, თვითონაც მძიმე მდგომარეობაში ვიყავი.

მარწვის პირველი დღე იყო. 1994 წლის 14 მარტი; უწმინდესმა მონაზვნებს გაამზადებინა ორი დიდი ქვაბი სადილი და გაეცითო, - ბრძანა. ვიყავი სრულიად მარტო და ძალიან დაბნეული; მომდევნო დღეებში, პატრიარქის ქადაგების მოსმენის შემდეგ, მრევლის ახალგაზრდა წევრები მორიგეობით მოდიოდნენ, თანდათანობით ნელ-ნელა ჩამოვყალიბდით, რა უნდა გვეკეთებინა. იქ მოსულების გარდა ახლომახლო ტერიტორიაზე ლოგინად ჩავარდნილებსაც ვუგზავნიდით სადილებს, ეს ხდებოდა ყოველ დღე, შაბათ-კვირის ჩათვლით.

თვითონ ის შენობა, სადაც ეს საქმიანობა უნდა წარმართულიყო მდებარეობს საპატრიარქოს პირდაპირ, კარის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, ნაგებობა ნახევრად ავარიული იყო, მარტო გაზქურა გვედგა, სადაც სწრაფად და ფრთხილად ვამზადებდით სადილს და წლების განმავლობაში ეზოში გავცემდით.

პატრიარქის კურთხევით, უნდა დაგვეპურებინა ყველა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ხალხის რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. მე დღესაც არქივში მაქვს შენახული საბუთები მათ სოციალურ მდგომარეობაზე, ხუთიათასს რომ მიაღწია შეჭირვებულთა რიცხვმა, მერე შევწყვიტეთ მონაცემთა შეგროვება.

პირველი ხანებში ყოველ დღე 3400-მდე ადამიანს ვაპურებდით. საიდან აღარ მოდიოდნენ - გლდანიდან, ვაზისუბნიდან, ორთაჭალიდან, საბურთალოდან, ზოგი ფეხით, ზოგი ტრანსპორტით. რამდენიმეს შევეკითხე, როგორ დადინართ აქ ყოველდღე - მეთქი და იცით, რა მიპასუხეს? პენსიას აქ მოსასვლელად ვზოგავთ, კვებით კი თქვენს იმედად ვართო.

ყოველ ორშაბათს უწმინდესი სტუმრობდა ამ სახლს. მისი მობრძანება დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდი სიხარულით გვავსებდა და გვიადვილებდა მუშაობას, რომელიც არც ისე ადვილი იყო. მძიმე ფიზიკურ შრომასთან ერთად უმძიმესი სულიერი დატვირთვა გვქონდა და გვაქვს დღესაც. არ არის ადვილი ყოველ დღე მშერ, უსახლვარო, სულიერად შეჭირვებულ ადამიანებთან ურთიერთობა.

ალბათ ყველას გვახსოვს, გაზი რომ გაითიშა მთელ საქართველოში. სადილი, რა თქმა უნდა ვერ მოვამზადეთ და მარტო პურს გავცემდით. ეს დაემთხვა ორშაბათ დღეს. უწმინდესმა გვკითხა სადილი რატომ არ მოამზადეთო? გაზი გაითიშა და ვერ გავაკეთეთ - მეთქი. თქვენ მამაპაპური ადათ-წესები დაგავიწყდათ? ზედადგარებზე შემოდგით ქვაბები, შეშა შეიძინეთ, ხოლო ყოველ აქ მომსვლელს სთხოვეთ ქუჩაში არც ერთ ნაფოტს გვერდი არ ჩაუაროს და აქ მოიტანოსო.

წლების განმავლობაში ასე ვამზადებდით სადილებს ზაფხულის პაპანაქება სიცხეში თუ ზამთრის სუსხიან დღეებში. გარდა დაპურებისა, მოწყვეტილი გარემონტისაც უნდა მიგვექცია სათანადო ყურადღება, სწორედ მაშინ ჟიული შარტავას დის, ცისანა შარტავას (რომელიც იმ დროისათვის გახლდათ შიდსის კლინიკური ცენტრის დირექტორი, ამჟამად საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და

პატრიარქის პირადი ექიმი) და პროფესორ ანი თოლურიას თაოსნობით შეიქმნა საველე ამბულატორია, სადაც ზაფხულსა და ზამთარში პაციენტებს უწევდნენ პირველად დახმარებას და, შეძლებისდაგვარად, ხალხში მოგროვილი მედიკამენტებით უზრუნველყოფდნენ.

გავითვალისწინეთ რა მომსვლელთა მრავალრიცხოვნება, მომწიფდა აზრი, შექმნილიყო გარკვეული ჯგუფი სხვადასხვა სპეციალობის მქონე ქველმოქმედ ექიმთა, რომლებიც თუნდაც კვირაში ერთხელ, სამუშაო ადგილზე მიიღებდენ გაჭირვებულ ავადმყოფებს და, შეძლებისდაგვარად, გაუწევდნენ სათანადო დახმარებას.

სწორედ ამ მიზნით საქართველოს საპატრიარქოში შეიკრიბა 200-მდე ექიმი, რათა უწმინდესის ლოცვა-კურთხევით აღსრულებულიყო ეს დიდებული საქმე.

ვცდილობდით საკვებთან ერთად სულიერი საზრდოც მიგვეწოდებინაშეჭირვებულთათვის. ბევრი მათგანი ჩვენი ხელშეწყობით მოინათლა, როგორც პატარები, ისე ხანში შესულებიც. ნათლიები ჩვენ ვიყავით, „მოწყალების სახლის“ თანამშრომლები. თითქმის ყველა მათგანის ცხოვრებას ვიცნობდით და ვიცნობთ. ისინი ღირსეული ადამიანები არიან, საუცხოო წარსულის მქონენ.

უკვე 26 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ იგივე ხალხმრავლობაა „მოწყალების სახლში“, დღეისთვის მათი რაოდენობა შემცირდა, დაახლოებით 200-დან 250-მდე ადამიანს ვემსახურებით, ვინაიდან პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უკვე სხვა ეკლესიებშიც მასპინძლობენ მათ.

აღსანიშნავია, უწმინდესი უკვე რამდენიმე წელია საქართველოს საპატრიარქოში იწვევს ყველა უპოვარს თავის დაბადების დღეზე და განსაკუთრებულად მასპინძლობს მათ. არც ისინი ტოვებენ უწმინდესობას საჩუქრების გარეშე - სიმღერებს, ლექსებს უძღვნიან პატრიარქს.

აი, ერთი მათგანი:

„მოწყალების სახლის“ ბინადარნი წრფელ გულებს

გიძლვნით,
შენ სიყვარულის ეკლესიას აგებ გულებში,
მაღალი ღმერთის მოწყალება კარებთან გიცდის,
რადგან სიკეთე აუწყველი გაეც ულევი.
სასოება ხარ ყველასათვის წმინდა იღია,
უსახლკაროთა ფერად-ფერად სურვილის ზიდვით,
გზა შენი ფართო, ხალხის ლოცვით შემოსილია“...

ერთხელაც ხელდამშვენებულები ეანდნენ პატრიარქს, მადლიერების ნიშნად მიართვეს ნახატი, რომელზეც გამოსახულია ქალი, ეტყობა წარსულში შეძლებული, ძვირფასი, მაგრამ დაკონკილი კაბით და ხელში გასაყიდად გამზადებული ლურჯი იების პატარა კალათით, ამ ქალბატონში მოიაზრება ყველა უპოვარი ადამიანი. ამ ქალბატონის გვერდით ტრაფარეტზე არის ასეთი წარწერა: „თქვენ კიდევ ერთი გაზაფხული მაჩუქეთ, თქვენო უწმინდესობავ“.

მე ვიცი, უწმინდესო და უნეტარესო, მათ თქვენ არა მარტო ერთს, არამედ კიდევ მრავალ გაზაფხულს აჩუქებთ.

მე ხშირად მინახავს ეს ადამიანები ზეცისკენ ხელაპყრობილები და მომისმენია, როგორ ავედრებენ უფალს პატრიარქს...

მ ზ ი ა კ ა ც ა ძ ე

ჩემი გული თქვენი ლოცვა-კურთხევით ფეთქავს დღეს

ჩვენს პატრიარქთან, უწმინდეს და უნეტარეს იღია II-სთან მრავალი წელი მაკავშირებს. ხშირად ჩემს თავს ვეკითხები - რომელი, რომელი ერთი შეიძლება გამოვყო იმ დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით აღსავსე უამრავი შეხვედრიდან... თითოეული ასეთი შეხვედრისას ხომ

ირგვლივ ყოველივე საოცრად განათებულია, გაბრწყინებულია და გგონია, რომ შენზე ბედნიერი არავინაა ამქვეყნად!..

ბოლოს, გადავწყვიტე თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გაზეთის მკითხველებს შემოგთავაზოთ ჩემი სიტყვა პატრიარქის დაბადების 83 წლისთავისადმი მიძღვნილი ჩემი შემოქმედებითი საღამოდან - „მიყვარხართ“, რომელიც თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა:

„არ ვიცი, რომელ ბედნიერ ვარსკვლავზე მოხდა ჩემი დაბადება, მაგრამ დღევანდელი დღე განსაკუთრებულია ჩემთვის, რამეთუ მაქვს პატივი ჩემი სიმღერებით, ჩემს მეგობრებთან ერთად მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია II-ეს მივულოცო დაბადების დღე, - მივულოცო გულწრფელად, მივულოცო საუკეთესო სურვილებით!

თქვენო უწმინდესობავ! ჩემი გული თქვენი ლოცვა-კურთხევით ფეხქავს დღეს! ჩემი გული თქვენთვის მღერის დღეს!..

2010 წელს სერიოზული ოპერაცია გამიკეთდა გულზე, ბატონი სულხან ლომინაძე დავინახე აქ, დარბაზში, არაჩვეულებრივი ქირურგი. რამდენიმე საათს გრძელდებოდა ოპერაცია... უცებ მესმის - „ბატონო ჯემალ, ჩვენო ძვირფასო, ჩვენო საყვარელო... ოპერაცია დამთავრდა... ახლა თქვენ გაიღვიძებთ“.. გავაჩილე თვალები და რას ვხედავ? - თეთრებში გამოწყობილი მამაკაცი დგას... ვიფიქრე - „აუუუ, წავედი, უკვე იქა ვარ“... დავხუჭე თვალები და უცებ მესმის - „ჩემო ჯემალ, ეს მე ვარ!“.. ჩვენი პატრიარქის ხმა!.. უწმინდესი და უნეტარესი ჩემს სასთუმალთან იდგა!..

განუმეორებელი სილამაზე დავინახე ირგვლივ! და...პატრიარქის ხმა - „ჩემო ჯემალ, მოვედით, რომ დაგლოცოთ!..“

ამიტომაც ვამბობ - თქვენო უწმინდესობავ, ჩემი გული თქვენი ლოცვა-კურთხევით ფეხქავს დღეს! დიდი მადლობა!“

ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო ადამიანო, ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო სულიერო მეგობარო!

მინდა კიდევ მრავალ წელს გადაგიხადოთ მადლობა ჩემზე, ჩემს ოჯახზე ზრუნვისათვის, ყველა იმ სიკეთისათვის, რაც ჩემს ხალხს, სრულიად საქართველოს გულწრფელად არგუნეთ!

უფლის მადლი და მფარველობა არ მოგკლებოდეთ აწ და მარადის!

თქვენი ჯემალ სეფიაშვილი.”



სურათზე: პატრიარქის დაბადების 83-ე
წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე



ასე დამკვიდრდა გენიოსის სული მარადიული სიმშვიდეში

იმ მადლოთაგან, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი იღია II-ის ნებით, კურთხევით და ძალისხმევით მიემადლა ქართველ ერს, არის ერთი საშვილიშვილო მოვლენა, და, მე, როგორც მის უშუალო მონაწილეს, ნება მიბოძეთ, წინა ისტორიის მოკლე განსენებით, მოგითხოვთ ამის თაობაზე:

1959 წლის 17 მარტს, 17 საათსა და 50 წუთზე, ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე გალაკტიონ ტაბიძემ - თბილისში, ვაკეში, სამკურნალო კომბინატის ფანჯრიდან 13 მეტრის სიმაღლიდან გადმოეშვა „ვარდისფერ გზაზე“ აჩქარებული ისე, რომ დაცემისას, წვეთი სისხლი არ დაუღვრია, იქვე გარდაიცვალა და მიწაზე არავითარი კვალი არ დაუტოვებია.

2010 წლის 17 მარტს ამ ადგილზე დაიდგა ობელისკი, რომლის იდეაც საუკუნის დასაწყისში მე და ცნობილ მხატვარს თენგიზ მიოზაშვილს გაგვიჩნდა - ამ შეუმჩნეველ და მივიწყებულ ადგილზე დაგვედო ვეებერთელა ლოდი და წაგვეწერა: „1957 წლის 17 მარტს აქ დაასრულა სიცოცხლე გალაკტიონ ტაბიძემ.“

ამ იდეის განხორციელებას ბარე 10 წელი დასჭირდა. ბოლოს, 2010 წელს ყაზბეგიდან, ჩვენი პატრიარქის მშობლიური რაიონიდან ჩამოტანილი დიაბაზის ორი ძვირფასი („ვეფხისტყაოსანში“ შექებული იგივე ამარიტის) ქვა აქ ობელისკად აღიმართა.

მანამდე, ათი წლით ადრე, კი მოხდა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რაზეც დასაწყისში მივანიშნე.

ვაკეში, სამკურნალო კომბინატის პირდაპირ ცხოვრობდა გალაკტიონსა და მის პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება - ხუტა ყუფარაძე. მან შემოიკრიბა გენიოსის თაყვანისმცემლები და პოეტის

დაბადებისა და გარდაცვალების დღეებს ლირსეული ჭირისუფლის გულისხმიერებით აღნიშნავდა.

ბატონმა ხუტამ ერთმანეთს გააცნო და დააკავშირა სხვადასხვა თაობის ხალხი, თავის მოკრძალებულ ბინაში დააარსა გალაკტიონის სალონი, სახელწოდებით - „ეფემერა“.

სწორედ იქ, ერთი მორიგი შეკრების დროს, დაიბადა გალაკტიონისათვის წესის აგების იდეა. ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა შევადგინეთ შესაბამისი ტექსტი და თხოვნით მივმართეთ პატრიარქს.

პატრიარქმა დაუყოვნებლივ გვამცნო პარაკლისის თარიღი.

დაუვიწყარი დღე გათენდა 2000 წლის 21 ივნისს, გალაკტიონის სახელმა სიონის ტაძარსა და მის შემოგარენში, კიდევ ერთხელ შეკრიბა მორწმუნე მრევლი, ტაძრის ეზოში გაიშალა დიდი ტრაპეზი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სიონის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა და მთაწმინდაზე აკურთხა გალაკტიონის საფლავი.

ეს იყო გენიოსის სულის მარადიულ სიმშვიდეში დაბრუნების წუთები.

აი, როგორი ჩვეული მოკრძალებით გაიხსენა იგი 2011 წლის 23 მაისს უწმინდესა და უნეტარესა:

„მახსენდება 2000 წლის ივნისი, როცა გალაკტიონს სიონის ტაძარში გადაეხადა პანაშვიდი, აეგო წესი და წაკითხულ იქნა შენდობის ლოცვა. თითქოს საოცარი წნევი ერთბაშად განქარდა, თითქოს დაწუთული სივრცე უცებ ჟანგბადით აივსო და სიცოცხლის სულმა დაპბერა, - ტაძარში მყოფმა უამრავმა ხალხმა ფიზიკურად იგრძნო ეს. იმ დღიდან მარადიულობის მკვიდრმა გალაკტიონის სულმა სულ სხვა ცხოვრება დაიწყო და მის შემოქმედებასაც სხვა მაღლი მიეცა.“

ამ და სხვა აურაცხელი სიკეთის ქმნისათვის ქართველი ხალხი
მადლობას მოგახსენებს ჩვენი ერის ჯვარისმტვირთველო, უწმინდესო და
უნეტარესო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ჯ ა ვ ა ხ ა ძ ე

საღვთისმეტყველო წერილები ბერძნული ართონის (არტიკლის) საღვთისმეტყველო მნიშვნელობის შესახებ

ძველი ბერძნული ენაში არტიკლი მეტყველების დამხმარე ნაწილია,
რომელიც არსებით სახელზე მიუთითებს და მის წინ დაისმის. ამასთან,
სეპტუაგინტაში დამოწმებისას ის (ართონი), გრამატიკული წესების
კვალდაკვალ, ეკლესიის მამათა განმარტებების მიხედვით, სათანადო
კონტექსტებში ღრმა თეოლოგიური შინაარსით არის დატვირთული და
დოგმატური მნიშვნელობის მოძღვრებას გადმოგვცემს.

აღნიშნულის თაობაზე საყურადღებო განმარტებას გვთავაზობს
ეკლესიის დიდი მოძღვარი, წმინდა ათანასე ალექსანდრიელი შრომაში
„ეპისტოლე სერაპიონის მიმართ, თმუსელი ეპისკოპოსისა, მგმობელთა
და მეტყველთა წინაღმდეგ, რომ სულიწმინდა ქმნილება
არის“ (ხსენებული მღვდელთმთავრის სახელზე წმინდა ათანასეს ჯამში
ოთხი ეპისტოლე აქვს გაგზავნილი (იხ. PG. t. 26; col. 529 A - 676 C).
ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა პირველ ეპისტოლეს ეფუძნება).
ალექსანდრიელი მოღვაწე სულიწმინდის ღმერთობის უარმყოფელთა
არგუმენტებს მიმოიხილავს, რომელთაგან ერთ-ერთი წინასწარმეტყველ
ამოსის წიგნის შესაბამის ადგილს ეფუძნება: „რამეთუ მე ესერა
განვამტკიცო ქუჩილი და დავჰადო სული და მიუთხრა კაცთა ცხებული
მისი. შევქმენ ცისკარი და ნისლი და შევიდე სიმაღლესა ქუეყანისასა.
უფალი ღმერთი ყოვლისა-მპყრობელი - სახელი მისი“; შდრ. ბერძ. diōti
„doÝ ™gë stereîn bront¾n ka^ kt...zwn pneàma ka^ ꝑpaggšllwn e,,j ꝑnqrèpouj tōn

cristōn aÙtoà, poiñn Órqron ka^ Ðm...clhn ka^ TMpiba...nwn TMp^ t; Úyh tÁj gÁj: kÚrioj Ð qeÓj Ð pantokrÈtwr Ônoma aÙtù (ამოს. 4.13).

უპირველესად შევნიშნავთ, რომ წმინდა წერილში სულიწმინდის ჰიპოსტასის აღსანიშნავად გამოიყენება სინტაგმური ტერმინი *pneu=ma* a(/gion), თუმცა არის შემთხვევები, როდესაც იმავე წერილში მითითებული წყვილიდან მხოლოდ პირველი სიტყვა გვხვდება (ე. ი. გვხვდება «სული», ბერძ. *pneu=ma*), გარეშე ტერმინისა «წმინდა» (ბერძ. a(/gion)). ზემოხსენებულ ადამიანთა თქმით, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამოსის მოხმობილ წინასწარმეტყველებაში, რომლის თანახმადაც სული (ბერძ. *pneàma*) ქმნილებად არის გამოცხადებული (შდრ. «დავჭბადო სული»).

მეტი თვალსაჩინოებისთვის დავაკონკრეტებთ, რომ ბერძნულ ტექსტში გამოყენებულია მოქმედებითი გვარისა და აწყო დროის მიმღეობა *kt...zw* (მხ. რ.), რომელიც მომდინარეობს ზმნიდან *kt...zw* და ითარგმნება როგორც «ვაფუძნებ», «ვქმნი» (სწორედ იმავე მნიშვნელობის გადმომცემია ძველი ქართული «დავჭბადო»). ვინაიდან ბერძნული მიმღეობები ქართულად თარგმნისას, შესაბამისი კონტუქსტების გათვალისწინებით, რიგ შემთხვევაში ზმნური ფორმით გადმოდის, სეპტუაგინტას ხაზგასმული ნაწილის თანამედროვე ქართული შესატყვისი იქნება: «ვქმნი სულს» (შდრ. ბერძ. *kt...zw* *pneàma*). ამდენად, რადგანაც ამოსის წინასწარმეტყველების თანახმად, «სული» (ბერძ. *pneàma*) ქმნილებად არის გამოცხადებული, ზოგიერთებმა, არიანული მოძღვრების კვალდაკვალ, ზემოთქმულისებრ, სულიწმინდის ჰიპოსტასის მარადიულობა უარყვეს და არარსებობიდან მყოფობაში შემოყვანილად (დაბადებულად ე. ი. შექმნილად) მიიჩნიეს ის.

აღნიშნულ არგუმენტებს წმინდა ათანასე აღექსანდრიელი სათანადო თეოლოგიური განმარტებით უპასუხებს. კერძოდ, ღირსი მღვდელოთმთავრის თანახმად, ტერმინი «სული» (ბერძ. *pneàma*) წმინდა წერილში მრავალი და განსხვავებული მნიშვნელობით მოიხმობა, თუმცა კი სულიწმინდაზე საუბრისას ვერსად ვპოვებთ ადგილს მხოლოდ ლიტონ «სულად» იწოდებოდეს იგი, ერთი მხრივ, შესაბამისი მითითების გარეშე, როდესაც ყველა შემთხვევაში გარკვეული მსაზღრველი ახლავს მას, მაგალითად, «სული ღვთისა», «სული უფლისა», «სული მამისა»,

«სული ჩემი», «სული ქრისტესი», «სული ძისა», «სული ძეობილობისა»...; ხოლო იმავე ტერმინის გამოყენებისას მსაზღვრელის გარეშე ბერძნულ ტექსტში დამოწმებული «სულის» (ბერძ. *pneàma*-ს) საღვთისმეტყველო მნიშვნელობას, მეორე მხრივ, შესაბამისი არტიკლის არსებობა თუ არარსებობა გამოკვეთს.

ამჯერადაც დავაკონკრეტებთ, რომ ბერძნულ ენაში სამი სქესია: მამრობითი, მდედრობითი, საშუალო და თითოეულ მათგანს სათანადო ართონი მიემართება: მამრობითისია *o* (მაგალითად, *o* *Io/goj*), მდედრობითის - *h* (მაგალითად, *h* *kth=sij*), საშუალოსი - *to* / (მაგალითად, *to* / *loutro/n*). ვინაიდან ზემოდამოწმებული ტერმინი «სული» (ბერძ. *pneàma*) საშუალო სქესის არსებითი სახელია, თავის თავად ცხადია, მასთან მიმართებით, საჭიროების შემთხვევაში, უნდა იყოს მოხმობილი არტიკლი *to* / (მაგალითად, *to* / *pneàma*).

კვლავ წმინდა ათანასე ალექსანდრიელის ეგზეგეტიკას დავუბრუნდებით. ლირსი მღვდელთმთავრის თანახმად, ამოსის წინასწარმეტყველების ბერძნულენოვან ტექსტში ხაზგასმული სიტყვა, ერთი მხრივ, შესაბამისი მსაზღვრელის, მეორე მხრივ კი არტიკლის გარეშეა წარმოდგენილი (შდრ. *diÓti „doÝ ṭgē stereîn bront¾n ka^ kt...zwn pneàma*), რაც გვაფიქრებინებს, რომ მასში (*pneàma*-ში) არა ყოვლადწმინდა სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასი - სულიწმინდა მოიაზრება, არამედ ქმნილებას უნდა მივაკუთვნოთ ის და კონკრეტული სტიქიონის, კერძოდ, ჰაერის მნიშვნელობით აღვიქვათ. აღნიშნულ განმარტებას თავად ბიბლიური მუხლიც ცხადყოფს, რომელშიც, გარდა ხსენებული ტერმინისა, სამი სიტყვა გვხვდება: „განვამტკიცო ქუჩილი შევქმენ ცისკარი და ნისლი“ ცხადია, დამოწმებულ კონტექსტში «სულზე» (ე. ი. ჰაერზე) საუბარი და მის ქმნადობაზე მითითება (შდრ. „და დავპატო სული“) სრულ თანხმობაშია საეკლესიო დოგმატებთან, რადგან, კვლავაც შევნიშნავთ, წმინდა ათანასე ალექსანდრიელის თანახმად, სხვა არის წმინდა წერილში გამოყენებული ტერმინი *to/ pneàma* და სხვა - *pneàma*, რომელთაგან ჰირველი (ე. ი. ართონიანი) სულიწმინდის ჰიპოსტასის იდუმალებას ცხადყოფს, ხოლო მეორე (ე. ი. უართონო) - ქმნილების შესახებ მოძღვრებას გაგვიმხელს. შესაბამისად, ზემოხსენებულ ჰირთაგან გამოთქმული მოსაზრება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა

მართებული, თუკი ამოსის წიგნის ბერძნულ ტექსტში ამოვიკითხავდით ფრაზას: *kt...zwn to/ pneàma*, მაგრამ ვინაიდან სეპტუაგინტაში ტერმინი «სული» (ბერძ. *pneàma*) ართონის გარეშე დამოწმებული (შდრ. ბერძ. *kt...zwn pneàma*), აღნიშნული მოვლენა სრულიად უსარგებლოს ხდის სულიწმინდის მგმობელთა მიერ მოშველიებულ არგუმენტაციას (შდრ. PG. t. 26; col. 536 B - 537 C).

არტიკლის საღვთისმეტყველო მნიშვნელობის შესახებ საგულისხმო განმარტებაა დაცული ესაიას წიგნის წმინდა იოანე ოქროპირისეულ განმარტებაში. კონსტანტინოპოლელი მღვდელთმთავარი განმარტავს შემდეგ ბიბლიურ მუხლს (ეს. 7.14): „აჰა, ქალწულმან მუცლად-ილოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (შდრ. ბერძ. „doÝ¹ parqšnoj ḡn gastr̄ →xei ka^ tšxetai ufo, ka^ kalšseij tō ḡnoma aÙtoà Emmanouhl). საქმე ისაა, რომ ზოგმა დიდი იუდეველი მოსაგრის მითითებული უწყება მიიღო არა როგორც მესიანური წინასწარმეტყველება, არამედ ერთ-ერთი რიგითი ცნობა, რომელსაც არანაირი კავშირი არ გააჩნია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან და, ამდენად, არც იესო ქრისტესთან. აღნიშნული კუთხით გამოთქმული იყო განსხვავებული სახის განმარტებები. მაგალითად, თითქოს ესაია თავისი თანამედროვე ერთ-ერთი ქალის შესახებ საუბრობს, რომელიც ზემოდამოწმებული სიტყვების წარმოთქმისას გაუთხოვარი იყო და, შესაბამისად, - ქალწული, მაგრამ იგი მალე დაოჯახდება, დაფეხმდიმდება, შობს ძეს, რომელსაც ემანუელს უწოდებს; სხვანი მიიჩნევდნენ, რომ «ქალწულისაგან შობილში» იუდეველი მეფის - აქაზის ძე, ეზეკია, მოიაზრება; კიდევ სხვათა თქმით კი, წინასწარმეტყველი ესაია საკუთარი ძის დაბადების თაობაზე საუბრობს.

წმინდა იოანე ოქროპირის თანახმად, ესაიას სიტყვები ქალწულს რომ არ გულისხმობდეს, არც რამ ნიშანი იქნებოდა ამაში. ნიშანი მოვლენათა საერთო რიგისგან უნდა სხვაობდეს და ბუნებრივ კანონებს ისე აღემატებოდეს, რომ ყოველი მხილველი თუ მსმენელი ამჩნევდეს ამას. კონსტანტინოპოლელი მღვდელთმთავრის მიხედვით, ასეა აქაც, რადგან საუბარი ჩვეულებრივ, ბუნებისეული წესისამებრ მშობიარე დედაკაცს რომ შეჰქებოდა, რატომ უნდა დაესახელებინა ესაიას ეს, როგორც ნიშანი?! სწორედ ამ მიზეზით წინასწარმეტყველი იმას კი არ ამბობს: «აჰა,

ქალწული (parqe/noj) მუცლადიღებს...», არამედ - «აჰა, ქალწული (h(parqe/noj) მუცლადიღებს...».

დავაკონკრეტებთ, რომ ღირსი იოანეს თანახმად, ესაიას წიგნის ბერძნულენოვან ტექსტში ტერმინი «ქალწული» წარმოდგენილია ართონითურთ (შდრ. h(parqe/noj) და არა არტიკლის გარეშე (შდრ. parqe/noj), რაც, თავის მხრივ, ღრმა საღვთისმეტყველო მნიშვნელობას დაიტევს და აღნიშნული ტერმინი განსაკუთრებული, ერთადერთი ადამიანის - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მასთან დაკავშირებული სასწაულებრივი მუცლადღების იდუმალებას წარმოაჩენს. ეს რომ ჭეშმარიტად ასეა, ამას სახარებაც ადასტურებს. კონსტანტინოპოლელი წმინდანის მიხედვით, როდესაც იუდეველებმა შუამავლები მიავლინეს იოანესთან სათქმელად: «ვინ ხარ შენ?». არ უკითხავთ: «შენ ხარ ქრისტე (Xristo/j)?»; არამედ - «შენ ხარ ი(Xristo/j)?».

საქმე ისაა, რომ ტერმინი «ქრისტე» (ბერძ. xristo/j) ძველი ალთქმის ეპოქაში სამი კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნებოდა: მეფეებს, მღვდელობმთავრებსა და წინასწარმეტყველებს. შესაბამისად, ვინაიდან იოანე წინამორბედი, იმავდროულად, წინასწარმეტყველია, ხსენებული სიტყვა («ქრისტე», ბერძ. xristo/j) მასაც მიემართება, თუმცა კი შეკითხვაზე უარით უპასუხებს, რადგან რჯულისმოძღვართაგან წარგზავნილნი, სახარების ბერძნულ ტექსტში დამოწმებული ტერმინოლოგიის კვალობაზე, ლიტონი წინასწარმეტყველით კი არ ინტერესდებიან, არამედ სურთ გაიგონ, იოანე ხომ არ არის ის მესია, ვისაც მრავალი საუკუნე ელოდა რჩეული ერი, და სწორედ და მხოლოდ მას მიეკუთვნება ართონიანი ტერმინი ი(Xristo/j («ცხებული იგი»).

ღირსი მღვდელობმთავარი სახარებაში გაუღერებულ მეორე შეკითხვაზეც მიგვითითებს და ბრძანებს, რომ მივლენილებს იოანესათვის - «წინასწარმეტყველი (profh/thj) ხარო?» - კი არ უკითხავთ, არამედ - «შენ ხარ ი(profh/thj)?». ამ შემთხვევაშიც იგივე ვითარებაა: წინამორბედად წოდებული იოანე, ამასთან, ზემოთქმულისებრ, წინასწარმეტყველიცაა, თუმცა კვლავ უარით უპასუხებს შემკითხველებს, რადგან იუდეველი იერარქების მიერ გაგზავნილი ადამიანები იმ ერთადერთი წინასწარმეტყველით ინტერესდებიან, რომლის შესახებაც იუწყებოდა რჯულმდებელი მოსე: „წინავსწარმეტყუელი ერთი აღგიდგინოს შენ

უფალმან ლმერთმან შენმან ძმათაგანვე შენთა, ვითარცა-ესე მე, მისი ისმინეთ“ (მეორე რჯ. 18.15) და სწორედ და მხოლოდ მას მიემართება წინმსწრებ ართონთან ერთად სახარებაში დამოწმებული ტერმინი **o(profh/thj** («წინავსწარმეტყველი იგი»), მაშინ როდესაც არტიკლის გარეშე **profh/thj** («წინასწარმეტყველი») იოანეც არის.

წმინდა იოანე ოქროპირი მოხმობილი მსჯელობის დასტურად იოანეს სახარების დასაწყის ნაწილზე მიუთითებს, რომელშიც ვკითხულობთ: «პირველითგან იყო სიტყვა» (**o(Io/goj**) და არა - «პირველითგან იყო სიტყვა (**Io/goj**)». წარმოდგენილი განხილვა სრულად განივრცობა იმავე სახარების პირველ მუხლზე, რადგან მასში სამგზის არის გამოყენებული ტერმინი «სიტყვა» (ბერძ. **Io/goj**), სამივე ძე ლმერთს მიემართება და ბერძნულ ტექსტში სამივე მათგანი შესაბამისი არტიკლით არის დამოწმებული. მეტი თვალსაჩინოებისათვის მითითებული სახარების ქართულ და ბერძნულ ციტატებს წარმოვადგენთ: „პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო ლმრთისა თანა, და ლმერთი იყო სიტყუად იგი“; შდრ. ბერძ. 'En ƒrcí Ān Ð IÒgoj, ka^ Ð IÒgoj Ān prōj tōn qeōn, ka^ qeōj Ān Ð IÒgoj (იოან. 1.1). როგორც დამოწმებული მუხლი ცხადყოფს, სამგზის მოხმობილ ტერმინს «სიტყვა» (ბერძ. **IÒgoj**) სათანადო ართონი უსწრებს წინ, რითაც წარმოჩნდება, რომ საუბარია არა „ხრწნად“, ჰაერში გაბნევად კაცობრივ სიტყვაზე, არამედ ლოგოსად წოდებული მარადიული და დაუსაბამო ჰიპოსტასის - ძის (საღმრთო ლოგოსის) შესახებ. კონსტანტინოპოლიელი მღვდელთმთავრის თანახმად, მსგავსი ვითარებაა ესაიასთანაც და ქალწულისადმი მიკუთვნებული წინმსწრები არტიკლით (შდრ. **h(parqe/noj**) ერთადერთი და განსაკუთრებული მოვლენის - ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მარადქალწულის მიერ ღვთაებრივი ყრმის მუცლადღების იდუმალება ცხადდება (შდრ. PG. t. 56; col. 84).

წმინდა იოანე ოქროპირი მსჯელობას განაგრძობს. მისი თქმით, ძველი ალთემის წიგნებში გამორჩეულ მესიანურ წინასწარმეტყველებას ესაია, იმავდროულად, წაუმძღვარებს ნაწილაკს «აპა» (შდრ. „აპა ქალწულმან მუცლად-იღოს...“; ბერძ. „doÝ 1 parqšnoj ṭn gastr^ >xei...“), რადგან იგი მომავალში განსახორციელებელ მოვლენას აწმყოში ხედავს და ღვთისაგან გაცხადებულის სრული რწმუნება აქვს. ღირსი მღვდელთმთავრის თანახმად, შესაძლოა, ვინმემ იკითხოს: რატომ არ აღნიშნა ესაიამ, რომ

ქალწულისაგან შობა სულიწმინდის ძალით მოხდება? და იქვე უპასუხებს: წარმოთქმული სიტყვები წინასწარმეტყველება იყო. ამიტომაც მსმენელის უგულისხმობის გამო საჭიროება მოითხოვდა, მოძღვრება საიდუმლოდ დარჩენილიყო, რომ ამ ადამიანებს, გაიგებდნენ რა ყოველივეს, წიგნები ცეცხლში არ დაეწვათ. მრავალი მაგალითი ვიცით, როგორ დაუნდობლად ექცეოდნენ წინასწარმეტყველებს, მით უმეტეს, უდიერად მოეპყრობოდნენ მათ ნაწერებს. აღნიშნულის ჭეშმარიტებაში მარტივად დავრწმუნდებით, როდესაც იერემიას წიგნს გავეცნობით. იქ აღწერილია, როგორ დააქუცმაცა და ცეცხლს შეუკეთა იუდეველმა მეფემ წინასწარმეტყველის დაწერილი წერილი (შდრ. [იერემ. 36.23]: „და იყო, რაჟამს აღმოიკითხის იუდი სამი კეფი ანუ ოთხი, მოჰკიის მან სახეველითა მით მწიგნობრისავთა და შთააგდის ცეცხლსა, რომელ იყო ბრძმედთა მათ ზედა, ვიდრე მო-არა-აკლდა წიგნსა მას ცეცხლსა მას შინა კერაკთასა“) (შდრ. PG. t. 56; col. 84).

დავუბრუნდებით მთავარ თემას და აღვნიშნავთ, რომ წმინდა იოანე ოქროპირის ზემოდამოწმებულ ეგზეგეტიკას მსგავსადვე ეხმიანება ღირსი იოანე დამასკელი და ართონის საღვთისმეტყველო შინაარსის განმარტებას გვთავაზობს. კერძოდ, ერთ-ერთ ანტინესტორიანულ ტრაქტატში, რომელიც თარგმნა და დოგმატიკონში შეიტანა წმინდა არსენ იყალთოელმა, დამასკელი ოქრომესიტყვე გვაუწყებს: „ქალწულისაგანი ძე ჰკითხვიდა მოწაფეთა თვეთა მეტყუელი: «ვის მიტყვან მე კაცნი, ყოფად ძესა კაცისასა» (მათ 16.13). და სხუათაგან უკუე სხვა თქუმასა და ერთად წინავსწარმეტყუელთაგან განჩინებასა არმიმთუაღველმან ვითარცა არჭეშმარიტების მეტყუელთამან კუალად ჰკითხა: «ხოლო თქუენ უფროვს სხუათა მეცნიერთა ვინ გგონიე მე?» (მათ. 16.15). მაშინ ყოვლად რჩეული პეტრე, თხემი მოციქულთა მწუერვალობისავ, არა შიშულისა, არცა უჯორცოვსა სიტყვსა მხილველი, არცა ლიტონისა და ლმერთშემოსილისა კაცისავ, არამედ ძისა ლმრთისა და ბუნებითისა ლმრთისავ და ბუნებით განკაცებულისავ და ლმერთად და კაცად მყოფისა ერთისა ქრისტესი: «შენ ხარო უფალი ქრისტე» - ეტყოდა - «ძე ლმრთისა ცხოველისავ» (მათ. 16.16). და არა თქუა, თუ «შენ ხარ ქრისტე», თვნიერ ართონისა, არამედ «უფალი ქრისტე» მოსალოდებელი იგი წინავსწარმეტყუელებული და არა ვიდრემო აქამდე ხოლო დადგრა, არამედ ზედა დაჰრთო: «უფალი ძე

ღმრთისა ცხოველისად». არა თქუა ძე, არამედ უფალი ძე, მხოლოდშობილი ერთი, პირველ საუკუნეთად“ (ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენ ვაჩეს ძის „დოგმატიკონში“, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონები დაურთო ა. ჩანტლაძემ, თბილისი, 1997, „მისივე მამისა იოვანე წუცისა დამასკელისა ოქრონექტარისად სიტყუად დასამჯობელად ნესტორიანთად“, გვ. 39).

ღირსი იოანეს თანახმად, მაცხოვრის შეკითხვაზე პეტრე მოციქულის მიერ გაცემულ პასუხში წარმოჩენილია, რომ სწორედ იესო ქრისტეა ის მესია, ვისაც საუკუნეები მოელოდა კაცობრიობა, რასაც მათეს სახარების ბერძნულენოვანი ტექსტი ამოწმებს. კერძოდ, მოციქულთა თავის აღმსარებლობით სიტყვებს, - «შენ ხარ უფალი ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისად», - დამასკელი მოსაგრე ორად განყოფს (შდრ. «შენ ხარ უფალი ქრისტე» და «შენ ხარ... ძე ღმრთისა ცხოველისად»). საქმე ისაა, რომ მათში დამოწმებულია ტერმინები: «ქრისტე» და «ძე» და ორივეს წინმსწრებად დაესმის მამრობითი სქესის შესაბამისი არტიკლი ღ (შდრ. «SÝ ei) ღ CristÓj» და «SÝ ei)... ღ afÓj toà qeoà toà zîntoj»), რითაც, ზემოთქმულისებრ, ხაზგასმულია, რომ ყოვლადწმინდა მარიამისაგან შობილი არის ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებებში ნაქადაგები ადამის მოდგმის მესია-მხსნელი. სხვა მხრივ, თუკი ბერძნულ ტექსტში მითითებული ტერმინები ართონის გარეშე იქნებოდა წარმოდგენილი (მაგალითად, «SÝ ei) CristÓj» და «SÝ ei)... afÓj toà qeoà toà zîntoj»), ასეთი გამოთქმები არა იესო ქრისტეს (განკაცებული ღმერთის) იდუმალებას გამოაჩენდა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის თაობაზე გადმოგვცემდა სწავლებას.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია წმინდა იოანეს შრომის ქართულად თარგმნისას წმინდა არსენ იყალთოელის მიერ გამოყენებული საღვთისმეტყველო ხერხი, რითაც დიდმა დოგმატიკოსმა მოძღვარმა ბერძნული ტექსტის თეოლოგიური შინაარსი დააკონკრეტა მკითხველის წინაშე. საქმე ისაა, რომ ქართულ ენაში სქესის და ართონის არარსებობის გამო შეუძლებელი იყო დამასკელი მამის ანტინესტორიანულ ტრაქტატში არტიკლით გადმოცემული დოგმატური სწავლების სრულფასოვანი თარგმანი, რაც, თავის მხრივ, მსგავსი საკითხების განხილვისას, დიდ სირთულესა და გაუგებრობას უქადაგა მკითხველს. აღნიშნული მიზეზით

იყალთოელმა მოძღვარმა ღირსი იოანეს ორიგინალურ შრომაში ციტირებული ბერძნულენოვანი სახარების სათანადო მუხლი, რომელიც არტიკლზეა ხაზგასმა, შესაბამისი ტერმინის გამოყენებით გაამარტივა. კერძოდ, პეტრე მოციქულის პასუხი, - «SÝ ei) Đ CristÓj», - ხსენებულმა მოსაგრემ ქართულად ასე გადმოიღო: «შენ ხარ უფალი ქრისტე» და ბერძნული მ ართონი ჩაანაცვლა სიტყვით «უფალი» (ბერძ. Đ CristÓj, შდრ. ქართ. «უფალი ქრისტე»). იგივე მოიმოქმედა მეორე შემთხვევაშიც და სახარებისეული ციტატა, - «SÝ ei)... Đ ufoj toà qeoà toà zîntoj», - ამგვარი სახით თარგმნა: «შენ ხარ... უფალი ძე ღმრთისა ცხოველისაა» (ბერძ. Đ ufoj; შდრ. ქართ. «უფალი ძე»), რითაც იესო ქრისტეს შესახებ ბერძნულ ტექსტში დაცული დოგამტური სწავლების საღვთისმეტყველო შინაარსი წარმოაჩინა. ამასთან, ღირსმა არსენმა, მეორე მხრივ, არც ორიგინალში გადმოცემული განმარტების გარეშე დაუტევა ქართველი მკითხველი, რაუამს საკუთრივ დამასკელისეულ ციტატაში ართონთან დაკავშირებით დაცული მოძღვრება მსგავსადვე ასახა მშობლიურ ენაზე (შდრ. «და არა თქუა, თუ 『შენ ხარ ქრისტე』, თვინიერ ართონისა, არამედ 『უფალი ქრისტე』»).

წმინდა იოანე დამასკელი იმავე ანტინესტორიანულ ტრაქტატში არტიკლის თეოლოგიური დანიშნულების შესახებ განხილვას სხვა ადგილზეც გვთავაზობს და თავისსავე ზემომოხმობილ ეგზეგეტიკას ეხმიანება. დავიმოწმებთ შესაბამის ადგილს: „იოვანე წამა მისთვის და ღაღად-ყო მეტყუელმან... : «მე ვიხილე და ვწამე, ვითარმედ ესე არს უფალი ძე ღმრთისაა და არა თვინიერ ართონისა თქუმაა ესრეთ, ვითორმედ ძე ღმრთისაა წარმოაჩენს თვთ მას ერთსა ძესა ღმრთისასა მხოლოდშობილსა“ (Ibid. გვ. 54-55).

დამასკელი მამის წარმოდგენილი მოძღვრების თანახმად, იოანეს სახარებაში მაცხოვარზე საუბრისას გამოყენებულია სინტაგმა «ძე ღმრთისა» (შდრ. «მე ვიხილე და ვწამე, ვითარმედ ესე არს უფალი ძე ღმრთისაა» (იოან. 1.34); თუმცა მასში რომ სწორედ ერთი და მხოლო, ე. ი. ბუნებითი ძე მოიაზრება მამისა, ამის ცხადმყოფელია ბერძნულ ტექსტში ხსენებული სინტაგმური წყვილის წინმსწრებად მოხმობილი არტიკლი მ (შდრ. kęgę ~ èraka, ka^ memartÚrhka Óti oátÓj ṭ̄stin Đ ufoj toà qeoà), რითაც

მესიის ბუნებითი ლმერთობაა გამოკვეთილი. სხვა მხრივ იგივე გამოთქმა ართონის გარეშე (ე. ი. სინტაგმა «ძე ლმრთისა», ბერძ. *mfōj toà qeoà*) სათო ადამიანებსაც მიემართება, რადგან საეკლესიო სწავლების თანახმად, საუფლო მცნებათა დამმარხველი ყოველი მოსაგრე ძე არის ღვთისა (თუმცა კი არა ბუნებითი, არამედ - მადლისმიერი). აღნიშნულის დასტურად ამჯერად მხოლოდ ერთი წყაროთი შემოვიფარგლებით და დავიმოწმებთ იმავე ლირსი არსენ იყალთოელის მიერ რუსი-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის ბოლოს დართულ ანდერძს, რომელიც ხსენებული მოღვაწე წმინდა მეფეს, დავით აღმაშენებელს, განსაკუთრებულ ხოტბას შეასხამს და მისი ლირსებების წარმოსაჩენად მრავალ შედარებას გვთავაზობს, რომელთაგან ერთ-ერთი ზემოხსენებულ საკითხს ეხმიანება: „.... კაცთმოყვარე ვითარცა ჩემი იესუ ლმერთთა შორის, ბუნებით ლმერთი მადლით ლმერთქმნულთა შორის“ (დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ; თბილისი, 1975, გვ. 557). დამოწმებული სიტყვების თანახმად, მეფე დავითი თავისი კაცთომყვარეობით ისე გამოირჩევა, როგორც იესო ქრისტე, რომელიც ბუნებითი ლმერთი არის მადლით ლმერთქმნულთა, ე. ი. მის მოძღვრებას შედგომილ და განლმრთობის გზაზე მდგომ ადამიანთა შორის და სწორედ აღნიშნული მდგომარეობაა ძეობილობა ლმრთისა - მადლისმიერი ლმერთობა (წარმოდგენილი შედარება, თავის თავად ცხადია, პირობითია და ავტორი (წმინდა არსენი) ყველა დროის დიდი ქართველი მონარქის დოქსოლოგიას ისახავს მიზნად).

საგანგებოდ შევნიშნავთ, რომ მართალია, ძველი აღთქმის წიგნებსა და სახარებებში გადმოცემული სწავლებანი ებრაულ-არამეულ ენებზე იყო წარმოთქმული, თუმცა, ერთი მხრივ, ეკლესიის მიერ კანონიკურად აღიარებული ბერძნული თარგმანი - სეპტუაგინტა და, მეორე მხრივ, იმავე ენაზე შესრულებული ახალი აღთქმის წიგნები (მათეს სახარების გამოკლებით, რომელიც ხსენებულმა მახარებელმა, პატრისტიკული წყაროების თანახმად, ჯერ არამეულად, მოგვიანებით კი ბერძნულად დაწერა) ზედმიწევნითი სიზუსტით სწორედ იმ საღვთისმეტყველო შინაარსს ასახავენ, რაც პირველწყაროებში იყო დაცული.

დასასრულს, ზემოთქმულს შევაჯამებთ და აღვნიშნავთ, რომ გარკვეული კონტექსტებისას ბერძნულენოვან წმინდა წერილში სათანადო არტიკლების (ართონების) გამოყენება თუ გამოუყენებლობა, მამათა ეგზეგეტიკის თანახმად, გვაძლევს შესაძლებლობას, გავერკვეთ, ვინ მოიაზრება შესაბამის ფრაზებში - ჩვეულებრივი მოვლენა და ადამიანი თუ განსაკუთრებული, ერთადერთი შემთხვევა და პირი, რომელიც სამყაროში არსებულ ბუნებრივ წესრიგს ყოვლითურთ აღემატება და საზოგადო რიგისაგან შეუდარებლად განსხვავდება.

ი რ ა კ ლ ი ო რ ჟ ო ნ ი ა,
თეოლოგიის დოქტორი

წინასწარმეტყველების სახეები

მხსნელის წუთისოფლად მოვლინებამდე დიდი ხნით ადრე წინასწარმეტყველებმა მოასწავეს მაცხოვრის განკაცება, მისი ამქვეყნად მოღვაწეობა, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება, ასევე, სულთმოფენობა და მრავალი მომდევნო მოვლენა.

წინასწარმეტყველებინი სხვადასხვა ერის - უმთავრესად ებრაელების - სასიკეთო თუ საუბედურო მომავალსაც იუწყებოდნენ. ყოველივე, წმინდა ითანე თქროპირის თქმით, იმისთვის აღესრულებოდა, „რათა ერთნი გამხნევებულიყვნენ, სხვანი კი ბიწიერებისგან შიშით შეჩერებულიყვნენ“ (Святитель Иоанн Златоуст, Творения, т. 6, кн. 2, С.-Петербургъ, 1900, стр. 611).

წინასწარმეტყველების ორი სახე არსებობს: სიტყვიერი და მოქმედებითი.

ა ღ თ ქ მ ი ს ს ა ღ ვ თ ა ი ს ტ ი რ ი ა შ ი ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი
წინასწარმეტყველების მრავალი მაგალითია მოცემული: მიქეა მხსნელის შობის შესახებ დაღადებს: „და შენ, ბეთლემ, სახლი ეგე ეფრათავასი, მცირე

ხარ ათასეულოთა შორის იუდაადსთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდა
მთავარი ისრატლისა ზედა და გამოსავალი მისნი დასაბამით დღეთაგან
საუკუნეთა“ (მიქ. 5. 2), ესაია მაცხოვრის ჯვარცმის შესახებ გვაუწყებს:
„...ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგუარა და, ვითარცა ტარიგი წინაშე
მრისუველისა, უკმობელად დგა, ეგრეთ არა აღალებს პირსა თვესა“ (ეს.
53. 7) და ა. შ.

მოქმედებითი წინასწარმეტყველების რაობის შესასწავლად
განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზაქარიას წიგნის ერთ-ერთ მუხლს,
სადაც არის მინიშნება წინასწარმეტყველთა მოღვაწეობის აღნიშნულ
მხარეზე: „ისმინე აწ, ისო, მღდელმან მაგან დიდმან, შენ და მოყუასთა
შენთა, რომელი სხენან წინაშე პირსა შენსა, რამეთუ კაცნი ნიშის
მსტოვარნი არიან...“ (ზაქ. 3. 8). „ნიშის მსტოვარნი“ ბერძნული ტერმინი
τερατοσκόποι-ს (არსებითი სახელიდან **τερας** - „ნიშანი“, „სასწაული“ და
ზმნიდან **σκοπεω** - „ვუყურებ“, „თვალყურს ვადევნებ“) შესატყვისია. ამ
შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბიბლიის
მასორეტული ტექსტი და ვულგატა. ზაქარიას წინასწარმეტყველების
ზემოთ მოტანილ მუხლში აღნიშნული შესიტყვების ადგილზე
ებრაულენოვან ბიბლიიაში წერია: **תָּמֵן מִשְׁנֶה** (Anēshe Mofeth; „კაცები
მომასწავებელი ნიშნისა“; შდრ. VUL: **viri portendentes** - „კაცნი
წინამიმანიშნებელნი“ ან „კაცნი წინამომასწავებელნი“). ტერმინი **תָּמֵן**
(Mofeth) ნიშნავს „მომასწავებელ ნიშანს“. ამ შესიტყვებით ბიბლია
წინასწარმეტყველთა მსახურების განსაკუთრებულ მხარეს ასაცნაურებს:
საუფლო ნიშნად ქცეული წინასწარმეტყველები ღვთის ბრძანებით
აღსრულებული ქმედებებით მომავლის დღეებს წინაგამოსახავდნენ.
ნეტარი იერონიმე ამბობს: „წინასწარმეტყველები ხომ მომავლის ნიშნებად
იყვნენ დადგენილნი“ (შდრ. **λατ.**: „Prophetae enim in signum sunt positi fu-
tutorum“; PL. t. XXV; col. 1439). „...ნიშად მიმიცემიე შენ სახლსა
ისრატლიისასა“ (ეზეკ. 12. 6) - ეუბნება წინასწარმეტყველ ეზეკიელს უფალი.
იგივე აზრი დევს შემდეგ სიტყვებში: „და იყოს ეზეკიელ თქუნდა
ნიშად...“ (ეზეკ. 24. 24). მოქმედებით წინასწარმეტყველებას უკავშირებს
ნეტარი იერონიმე ესაიას წიგნის ერთ-ერთ ადგილსაც: „აპა-ესერა, მე და
ყრმანი, რომელი მომცნა მე ღმერთმან, და იყოს სასწაულებად და
ნიშებად სახლსა ისრატლიისასა უფლისა მიერ საბაოთისა...“ (ეს. 8. 18).

აღნიშნული მუხლი, ნეტარი მამის განმარტებით, პირდაპირი, სიტყვა-სიტყვითი გაგებით წინასწარმეტყველებს მიემართება. ისინი ებრაელთათვის ერთგვარად მყოფადის წინამომასწავებელ საუფლო ნიშნებს წარმოადგენდნენ. უფალი ბრძანებს: „...კელთა წინავსწარმეტყუელთასა მივემსგავსე“ (ოს. 12. 11; შდრ.: LXX: „ἐν κερσὶν προφητῶν ὥμοιώθην“; სლავ.: „അú ଢୋହୋ ନ୍ଦୀ/ନ୍ଦୀରେଣ୍ଟୁ ପିତାକାଏଁନ୍ୟ“; MT: „תַּיְבָרֵה הַמְּנֻדָּח אֲנִי בְּנֵה“; ოს. 12. 10, VUL: „in manu prophetarum adsimilatus sum“. თავისუფალი თარგმანია წარმოდგენილი შემდეგ ტექსტებში: ოს. 12. 10, KJV: „used similitudes, by the ministry of the prophets“; რუს.: „чрез пророков употреблял притчи“; ოს. 12. 11, ახალქართ.: „წინასწარმეტყველთა პირით იგავურად ვლაპარაკობდი“). „გამოსლვათაში“ აღწერილია, თუ როგორ იდგა მოსე მთაზე ხელებგაპყრობილი, რითაც ჯვრის საიდუმლო მოესწავებოდა. ვეშაპის მუცელში იონას სამდლიანი ყოფნით სიმბოლურად მაცხოვრის ჯოჯონეთში ჩასვლა და მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომა გამოისახებოდა და ა. შ.

ცოტნის ჩემი
თეოლოგიის დოქტორი